გაზეთი ბეჭდავს „ვერსია“ ერთი

ვერსია

№48 (1689) 20 — 26 დეკემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური გზავნილები

ირაკლი ღარიბაშვილი: „თუ შევხედავთ ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების ბოლო მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, ვნახავთ, რომ საქართველოს არა მარტო მათ საშუალო მაჩვენებელზე უკეთესი პოზიცია აქვს, არამედ, მთელი რიგი მიმართულებით მოწინავე პოზიციაზეა“

„მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედეთ და მოვედით დღევანდელობამდე“

გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი საქართველოს ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ეწვია

გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ნენსი ფეზერი, დელეგაციასთან ერთად, საქართველოს ოფიციალური სამუშაო ვიზიტით პირველად ეწვია.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფედერალურ მინისტრს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ლევან იზორია დახვდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ნენსი ფეზერი შეხვედრას გამართავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურთან.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, გერმანიის პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო აქტი საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების შესახებ. გერმანიის მთავრობის მხრიდან მიღებული ეს გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ საქართველო არის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებების სათანადო დაცვა.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიგრაციისა და მობილობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. შეთანხმება მიზნად ისახავს შრომითი მიგრაციისა და განათლების მიმართულებით, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ამასთან, ქართველი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის მეტი ინტენსივობით განხორციელდება საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამები. გარდა ზემოაღნიშნულისა, შეთანხმება ითვალისწინებს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რაც გულისხმობს თანამშრომლობის განმტკიცებას საქართველოს იმ მოქალაქეთა რეადმისიისა და რეინტეგრაციის უზრუნველყოფას, რომლებიც უვიზო მიმოსვლის რეჟიმს დაარღვევენ. აღსანიშნავია, რომ რეადმისიის პროგრამა წარმატებით ხორციელდება 2011 წლის 1 მარტიდან, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2010 წელს გაფორმებული შეთანხმება უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ.

ბათუმში, ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში, პოლიციელებს ბინები გადაეცათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში, ბათუმში ორი მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დასრულდა. დასრულებული ბინები შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა პირადად დაათვალიერა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირებიც დაესწრნენ. მინისტრის მოადგილის თქმით, პოლიციელებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში, შეღავათიანი პირობებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბინები ბათუმში 88 პოლიციელმა მიიღო. პროექტში მონაწილე ყველა პირს 80 კვადრატულ მეტრამდე ფართობის საცხოვრებელი ბინა „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით გადაეცათ. ახალაშენებულ კორპუსებს აქვთ შიდა და გარე საერთო სარგებლობის ავტოსადგომი და გამწვანებული გარე პერიმეტრი.

ბინათმშენებლობის პროექტით შეღავათიან ფასებში ბინის შეძენის მსურველები შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შეარჩია, შემდეგ კი კანდიდატებს შორის გამარჯვებულები ლოტოტრონის პრინციპით შეირჩა. ბინათმშენებლობის პროექტი თბილისში, რუსთავსა და ბათუმში განხორციელდა და ამ დრომდე, საკუთრებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს 253 თანამშრომელს გადაეცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ მაღალი დონის ღონისძიებაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე ჟენევაში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ მაღალი დონის ღონისძიებაში მონაწილეობდა, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით ჩატარდა.

ჟენევაში, საქართველოს დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ნიკო თათულაშვილი ხელმძღვანელობდა.

ღონისძიების პარალელურად, დელეგაციის წევრებმა ორმხრივი შეხვედრები გამართეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ყაზახეთის, გაერო-სა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან.

შეხვედრების ფარგლებში, საქართველოს დელეგაციის წევრებმა დეტალურად ისაუბრეს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმების შესახებ, ასევე, სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის ავსტრიის რეგიონული ოფისის დირექტორს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ავსტრიის რეგიონული ოფისის დირექტორ ფრეია ფონ გროტთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი და საქართველოში გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) პროექტის უფროსი მენეჯერი.

შეხვედრაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) წარმომადგენელს ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს დანაყოფების საქმიანობისა და არსებული საჭიროებების შესახებ. მხარეებმა არსებული თანამშრომლობისა და მიმდინარე პროექტების ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე შეთანხმდნენ.

ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის – „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE)“ – ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაწეულ მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორებიცაა სამოქალაქო უსაფრთხოება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და დანაშაულის პრევენცია, ოჯახური ძალადობისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

შეხვედრის დასასრულს, მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოს უსაფრთხოების სექტორის გაძლიერების კუთხით გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) საქმიანობის მნიშვნელობას და მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილის წლიური ანგარიშის მთავარი პოლიტიკური გზავნილები

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 18 დეკემბერს მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიში წარადგინა. მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე. ღონისძიებას აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი და სასამართლო ხელისუფლების, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრემიერმა სიტყვით გამოსვლა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით დაიწყო.

პრემიერი: „მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედეთ და მოვედით დღევანდელობამდე“

„მინდა, დავიწყო მოლოცვით კიდევ ერთხელ, ვინაიდან ჩვენმა გუნდმა და მთლიანად ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად, მივაღწიეთ უდიდეს გამარჯვებას – ჩვენი ქვეყანა გახდა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ეს არის მრავალი თაობის ოცნების ახდენა. ეს, ბუნებრივია, არ ყოფილა მარტივი და ჩვენ ძალიან ბევრი გამოწვევით აღსავსე პერიოდი, ეტაპი გავიარეთ; ძალიან ბევრი სირთულე გავიარეთ ერთად, ბევრი განსაცდელი, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიხელმძღვანელეთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ მივაღწიეთ ამ შედეგს, მეგობრებო. მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედეთ და მოვედით დღევანდელობამდე.

2012 წელს ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის რეალურ ევროპეიზაციას, დემოკრატიზაციას. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადგა ჩვენი ხელისუფლება მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეები. მე ადრეც მითქვამს ძალიან ბევრჯერ, რომ თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა მიაღწია ძალიან კონკრეტულ შედეგს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის სწორედ „ქართული ოცნება“ – დაწყებული ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, შემდეგ კონსტიტუციაშიც კი აისახა ჩვენი გაცხადებული საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი და დაგვირგვინდა ჯერ შარშან, ევროპული პერსპექტივის აღიარებით და უკვე წელს ერთგვარი დამაგვირგვინებელი შედეგი იყო კანდიდატის სტატუსის მოპოვება. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს, პარტნიორებს, თითოეული თქვენგანის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო თითოეული თქვენი ხმა და თქვენი მხარდაჭერა; მე კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა ევროკომისიის პრეზიდენტს და მთლიანად ევროპელ ლიდერებს – ბატონ შარლ მიშელს, ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს; მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვარჰეის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გვეხმარებოდა ჩვენ და ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი იყო ჩვენი მისწრაფებისა და, რა თქმა უნდა, 27-ვე ქვეყნის ლიდერებს, 27-ვე ქვეყანას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მინდა მადლობა ვუთხრა და მათ ელჩებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ჩვენთან, ამ დარბაზში. მადლობა! გულწრფელად მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ მეგობრებს!

მე ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას; მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ სალივანს. მე ეს რამდენიმე კვირის წინ ვთქვი, მაშინ, როდესაც უკვე რეკომენდაცია გაიცა ევროკომისიის მიერ, რომ ბატონი სალივანი იყო ერთ-ერთი გამოკვეთილი მხარდამჭერი ჩვენი ქვეყნის წარმატებისა ევროპულ გზაზე და მქონდა ძალიან წარმატებული შეხვედრა მასთან; ჩვენ ბევრი საკითხი განვიხილეთ და გადავწყვიტეთ. ბევრი საკითხი, რომლებიც ორი ქვეყნის ურთიერთობას და ჩვენს მომავალ პარტნიორობას შეეხება. და, რა თქმა უნდა, მადლობა მინდა ვუთხრა ამერიკის ახალ ელჩს, რომელიც პირადად იყო ჩასული ბრიუსელში და იყო ძალიან გულმხურვალე მხარდამჭერი ამ წარმატებისა. თუმცა, მეგობრებო, არ დაგვავიწყდეს თუ რა რეალობაში მივაღწიეთ, აი, ამ შედეგს. დღემდე გრძელდება დამანგრეველი ომი უკრაინაში. მას შემდეგ, რაც ეს ომი დაიწყო უკრაინაში რუსეთის ფედერაციამ, უკრაინის ტერიტორიის 20% უკვე არის ოკუპირებული და ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ომი არ წყდება. ასიათასობით ადამიანი უკვე დაიღუპა ამ ომის შედეგად, მილიონობით ადამიანმა დატოვა უკრაინის ტერიტორია – 10 მილიონზე არის საუბარი, 10-მა მილიონმა უკრაინელმა დატოვა უკრაინა და ერთი ამდენივე, 10 მილიონზე არის საუბარი, რომ შიდა მიგრაცია, გადაადგილება, მოხდა. ეს არის ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს. ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარეთ და ვეხმარებით ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, ჩვენს უკრაინელ მოძმე ერს გავუწოდეთ დახმარების ხელი, ძალიან ბევრ ლტოლვილს უკრაინიდან დავეხმარეთ მაქსიმალურად, რაც შეგვეძლო, მაგრამ, ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ომის შედეგად იცვლება ის მთავარი, ასე ვთქვათ წესები, რომელზეც არის დაფუძნებული, ზოგადად, მთელი მსოფლიო და, ზოგადად, ის წესრიგი, რომელიც შექმნილი იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ჩვენ ამის მცდელობას ვხედავთ. მცდელობას იმისა, რომ შეიცვალოს მსოფლიო წესრიგი. არავინ არ იცის ზუსტად როგორ დასრულდება ეს ომი და რა შედეგები ექნება ამ ომის დასრულებას მთლიანად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე, ჩვენს რეგიონზე; როგორ ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი. გამოწვევა სახეზეა, ჩვენ ეს გამოვიარეთ 2008 წელს. აგვისტოს ომი იყო, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ტრაგედია ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, მაშინდელმა უპასუხისმგებლო მთავრობამ ვერ მოახერხა ამ ომის თავიდან არიდება. მე ეს არაერთხელ მითქვამს, რომ 2008 წელს რომ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება» ხელისუფლებაში, ეს ომი არ მოხდებოდა. ახლა, რატომ ვამბობ ამას, მეგობრებო, ჩვენ კარგად ვიცით და ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებას ღიად ვესაუბრებოდით იმ რისკების შესახებ, რომლის წინაშეც გვიწევდა ჩვენ გამკლავება. საფრთხე იყო საკმაოდ რეალური, ეს არ იყო მოგონილი, იყო საფრთხე ქვეყნის დესტაბილიზაციის.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილის წლიური ანგარიშის მთავარი პოლიტიკური გზავნილები

მე-3 გვერდიდან

ქვეყნის შიგნით მოქმედი რადიკალური ჯგუფები და მტრული ძალები, მე არ მოვერიდები ამის თქმას, პირდაპირ იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ ქვეყანა ჩაბმულიყო ამ საომარ ვითარებაში. მე ფაქტებს აღარ გაგახსენებთ, ყველამ კარგად ვიცით ყველაფერი. ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ, ძვირფასო მეგობრებო, საზოგადოებავ, მინდა გითხრათ კიდევ ერთხელ, რომ უნდა ითქვას სიამაყით, ჩვენ ვინაიდან და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილებები. ჩვენი ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც შეიძლება ერს, ჩვენს ხალხსა და ჩვენს ქვეყანას დაატყდეს თავს, არის ომი; ეს ყველაზე დიდი განსაცდელი თავიდან ავარიდეთ და ავირიდეთ. ავიცილეთ ომი და მშვიდობიანად, გონივრულად და მტკიცედ გავიყვანეთ ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოზე. ჩვენ ეს გამარჯვება ერთად მოვიპოვეთ. რა თქმა უნდა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს რისკები მთლიანად არის განეიტრალებული. ბუნებრივია, ეს რისკები არსად არ წასულა, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით და გონიერებით ვაფასებთ რისკებს, ვახდენთ საფრთხეების იდენტიფიცირებას, შესაბამის პრევენციებს ვახორციელებთ და ვიცავთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას.

ამავდროულად, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არცერთი წუთით არ დაგვიკლია მცდელობა, რომ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაციაში არ ვყოფილიყავით, პირიქით, შეიძლება ითქვას, ჩვენ 24-საათიან რეჟიმში, ღიად ვთანამშრომლობდით ჩვენს მეგობარ, პარტნიორ სახელმწიფოებთან, ვიყავით სრულ კოორდინაციაში. ვფიქრობ, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის რეალური მხარდამჭერები, ჩვენი ქვეყნის პარტნიორები, ევროპელი, დასავლელი, ამერიკელი მეგობრები არიან სრულად ინფორმირებულნი ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის, ამოცანისა და მიზნის შესახებ და არავითარი კითხვები აღარ არსებობს“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი სანქციების აღსრულების საკითხსაც შეეხო:

„ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამ წლის განმავლობაში მუსირებდა და ძალიან ბევრი უსამართლო, უსაფუძვლო ბრალდება მოვისმინეთ ჩვენ ყველამ ერთად, ესეც გაქარწყლებულია. რამდენიმე თვის წინ, მოგეხსენებათ კარგად, რომ ჩამოსული იყო საქართველოში მაღალი დონის დელეგაცია, ამერიკის შეერთებული შტატების სანქციების მთავარი კოორდინატორი, ბატონი ო'ბრაიენი, ევროკავშირის სანქციების კოორდინატორი, ბატონი სალივანი და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, სანქციების კოორდინატორი, რომელთაც ღიად, საჯაროდ თქვეს, რომ ისინი კმაყოფილნი არიან მთავრობის მიერ შექმნილი ეფექტური სისტემით სანქციების აღსრულების ნაწილში. არცერთი ფაქტი დღემდე არ დაფიქსირებულა სანქციების გვერდის ავლის თუ თავიდან არიდების ან არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა ჩვენი ქვეყნის გამოყენების სანქციების ასარიდებლად. ჩვენ მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ ვიმუშავეთ, ვიმუშავებთ და ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. ნებისმიერი ჩვენი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, კიდევ გავიმეორებ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ჩვენი ხალხის ინტერესებს, იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არ დაზიანებულიყო და, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით ვმოქმედებდით, რომ რამე კითხვა არ გასჩენოდა ჩვენს რომელიმე პარტნიორ ქვეყანას. ეს ასეც მოხდა. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, ყველა ასეთი საფრთხის დროული იდენტიფიცირება მოვახდინეთ, 1000-მდე შემთხვევა იქნა იდენტიფიცირებული, 1000-მდე შემთხვევა სანქციების თავიდან არიდებისა, ოღონდ ეს შეეხებოდა იმ პროდუქციას, რომელიც იგზავნებოდა ევროპიდან რუსეთის მიმართულებით და ჩვენ იმავე წამს, დაუყოვნებლივ, შევატყობინეთ ჩვენს ევროპელ კოლეგებს ამ მცდელობების შესახებ. ასეთი 1000 შემთხვევა გამოვლინდა ჩვენ მიერ, ევროპულ სახელმწიფოებში წინასწარ მიღებული ინფორმაციის შესაბამისად და ფინანსთა სამინისტროს მე მინდა მადლობა გადავუხადო – ბატონ ლაშა ხუციშვილს და მის შესაბამის უწყებებს, რომლებმაც დროული პრევენციები მოახდინეს“.

როგორც წლიურ ანგარიშზე პრემირმა აღნიშნა, მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ცნობადობის განვითარებას.

„ის მეგა-შოუები, რომლებიც გაიმართა ჩვენს ქვეყანაში, კიდევ გაგრძელდება 2024 წელს, ჩვენ ძალიან ბევრ სიურპრიზს ვპირდებით ჩვენს მოქალაქეებს და არა მხოლოდ – ტურისტებს, ვიზიტორებს, რომლებიც ჩამოვლენ და დაესწრებიან ამ კონცერტებს. ეს დამატებითი რეკლამაა ჩვენი ქვეყნის, დამატებითი მიზიდულობა არის ჩვენი ტურისტებისთვის, ვიზიტორებისთვის.

რაც შეეხება, ზოგადად, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას. მინდა გითხრათ, რომ აქაც ჩვენ გვაქვს საკმაოდ ხელშესახები შედეგი. 2012 წელს, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტი შეადგენდა სულ რაღაც 3.8 მილიონ დოლარს. უკვე წელს, 500 მილიონ დოლარს გადააჭარბა საინფორმაციო მომსახურების ექსპორტმა. 130-ჯერ არის გაზრდილი, ზოგადად, ეს ექსპორტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რომ აქ IT კომპანიებში დასაქმებულნი არიან ჩვენი მოქალაქეები, რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენს 8 000 ლარს. ძალიან ბევრი ინოვაციური სტარტაპი დაფინანსდა ჩვენი მთავრობის მიერ, 250-ამდე ინოვაციური სტარტაპია დაფინანსებული ბოლო 11 წელიწადში. იზრდება საგრანტო პროგრამების საერთო მოცულობა. მინდა, ასევე სიამაყით აღვნიშნო, რომ ამ სტარტაპებმა მოიზიდეს 320 მილიონ ლარამდე კერძო ინვესტიცია და შექმნეს 3 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მთავრობის მიერ საერთაშორისო IT კომპანიების მოსაზიდად. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭება კომპანიებს მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს (5%-იანი საშემოსავლო და 5%-იანი მოგების გადასახადი).

შედეგად, დღეისათვის საქართველოში 100-ზე მეტი საერთაშორისო IT კომპანია ოპერირებს; მათ შორისაა ძალიან მსხვილი, ყველასთვის ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა Rakuten-ი Viber-ი, Epam-ი, Lineate-ი და სხვა ძალიან ბევრი დიდი კომპანია.

ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დასრულდა ისეთი პროექტები, როგორებიცაა:

უეფას მე-4 კატეგორიის 11 სტადიონის რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვა, მათ შორის, ძალიან ბევრი სპორტული კომპლექსი აშენდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ, რეგიონებში და ეს პროცესი, რა თქმა უნდა, გრძელდება. გრძელდება სტადიონების კეთილმოწყობა და აღჭურვა, სპორტული კომპლექსების მშენებლობა. მინდა აღვნიშნო, რომ 2024 წელს, გლდანში დასრულდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრის რეაბილიტაცია. 2025 წლის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ჩვენ ვიწყებთ თბილისში ყინულის სასახლისა და ბაკურიანში ბიატლონისა და სათხილამურო ინფრასტრუქტურის მშენებლობას.

დასასრული მე-5 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილის წლიური ანგარიშის მთავარი პოლიტიკური გზავნილები

მე-4 გვერდიდან

წელს და გაისად ზამთრის სათხილამურო სეზონზე, გუდაურში დამსვენებლებს ორი ახალი, 6-ადგილიანი, ღია სავარძლის ტიპის საბაგირო კომპლექსი დახვდებათ. თითოეულის გამტარუნარიანობა იქნება 1800-2400 ადამიანი. ამ საბაგიროს ამ კვირაში გავხსნით".

2023 წლის ანგარიში ირაკლი ღარიბაშვილმა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგებით შეაფასა, რომლებიც ობიექტურად ასახავს საქართველოს წინსვლას და გლობალური პოზიციონირების გაუმჯობესებას.

„დავიწყებ იმით, რომ ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნების" წლევანდელ „დემოკრატიის ანგარიშში" დემოკრატიზაციის 10-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოს 179 ქვეყანაში საუკეთესო ათეულშია. ეს არის 11-წლიანი მუშაობის შედეგი. თითქმის 180 ქვეყანაში საუკეთესო ათეულში მოხვდა ქვეყანა დემოკრატიზაციის ანგარიშში.

„World Justice Project-ის მიხედვით, „კანონის უზენაესობის ინდექსში", საქართველო, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა, საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს შორის, მე-6 ადგილს იკავებს.

მინდა, ასევე ვთქვა, რომ ისეთ ინდექსებში, როგორებიცაა კორუფციისგან თავისუფლება, საქართველო მსოფლიოში 33-ე ადგილზე გავიდა წელს, ევროპის საუკეთესო ოცეულში მოხვდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის" თანახმად, რომელიც მსოფლიო ბანკმა „გლობალური მმართველობის ინდიკატორების" პროექტის ფარგლებში გამოაქვეყნა, საქართველო უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს წევრ მრავალ სახელმწიფოს. კორუფციის კონტროლის რეიტინგში, საქართველო მსოფლიოში მე-20, ევროპაში 11-ე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, მე-2 ადგილზეა.

ამავე, ანგარიშის თანახმად, ევროპის კანონის უზენაესობის რეიტინგში საქართველო მსოფლიოში 29-ე, ევროპაში მე-14 ადგილზეა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მე-3 ადგილზეა;

რეგულაციების ხარისხით, საქართველო ეკონომიკებს შორის მე-7 ადგილზე, ხოლო სახელმწიფოებს შორის – მე-9 ადგილზეა.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის Transparency International მიერ, 2022 წელს გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსში", მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, საქართველო 41-ე ადგილზეა და რეგიონში ლიდერია.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევის ცენტრის (ERCAS) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის „გამჭვირვალობა ომიანობის ჟამს" მიხედვით, საქართველო მე-17 ადგილს იკავებს წლევანდელ „გამჭვირვალობის ინდექსში" და უსწრებს ევროკავშირის 15 წევრ სახელმწიფოს და დიდი შვიდეულის 4 ქვეყანას.

„Fraser Institute-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, ცნობილი ინსტიტუტი, „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება", საქართველო 165 ქვეყანას შორის, 25-ე ადგილს იკავებს და მსოფლიოს ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს შორისაა.

„Freedom House-ის მიერ გამოქვეყნებული „ინტერნეტის თავისუფლების ინდექსის" თანახმად, საქართველოს 100-იდან 76 ქულა მიენიჭა და „თავისუფალი ქვეყნების" სიაში მსოფლიოს 70 ქვეყანას შორის, მე-9 ადგილზეა.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ სავალუტო ფონდის 2022-2028 წლების განახლებული შეფასებისა და გრძელვადიანი პროგნოზების თანახმად, საქართველო მსოფლიოში მეორე, ხოლო აღმოსავლეთ ნახევარსფეროში პირველ ადგილზე გავიდა შემდეგი მაჩვენებლებით: 2022-2028 წლებში, ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის ზრდა; ასევე მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური ეკონომიკის ზრდის ტემპი და მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის ტემპი მუდმივ ფასებში.

მსოფლიოს მოწინავე შვეიცარულმა ანალიტიკურმა ცენტრმა – Global Risk Profile-მა – „გლობალური კორუფციის ინდექსი 2023~ გამოაქვეყნა. საქართველო 2 ადგილით დაწინაურდა, მსოფლიოს თითქმის 200 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საუკეთესო 25%-ში, 43-ე ადგილზე ; შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კი, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე გავიდა „კორუფციის დაბალი დონის" მიხედვით.

ღია ბიუჯეტის ინდექსის მიხედვით, 10 წლის წინანდელი საქართველო შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყნებს შორის იყო. შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყანა იყო საქართველო 10 წლის წინ. ხოლო 2022 წელს კი, „ღია ბიუჯეტის ინდექსით", საქართველომ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით. აი ეს არის რეალური პროგრესი.

მმართველობის ხარისხით საქართველო გამოირჩევა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის და მეტიც, რიგ ინდიკატორებში უსწრებს ევროკავშირის 10-ზე მეტ წევრ და 8-ვე კანდიდატ ქვეყანას.

მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების მიხედვით, რეგულირების ხარისხით, საქართველო უსწრებს ევროკავშირის 13 ქვეყანას და ყველა კანდიდატ ქვეყანას.

კორუფციის კონტროლის ინდიკატორში საქართველო უსწრებს ევროკავშირის 10 ქვეყანას და ყველა კანდიდატ ქვეყანას, მთავრობის ეფექტურობის ინდიკატორში საქართველო უსწრებს ევროკავშირის 8 ქვეყანას და 8-ვე კანდიდატ ქვეყანას.

ეს არის შედეგი, რომელსაც ჩვენმა ხელისუფლებამ მიაღწია ბოლო 11 წლის განმავლობაში. კიდევ ერთხელ, მადლობა მინდა გადავუხადო მინისტრთა კაბინეტს, მთავრობის თითოეულ წევს, ყველა საჯარო მოხელეს".

ანგარიშის დასასრულს, პრემიერმა მადლობა გადაუხადა პარტიას, პარლამენტს და ყველა უწყებას, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ზემოხსენებული შედეგების მიღწევაში.

„მადლობა ჩვენს ევროპელ პარტნიორებს კიდევ ერთხელ, ჩვენს ამერიკელ მეგობრებს და კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ წელს მნიშვნელოვანი ეტაპი დავხურეთ, მაგრამ გადავიდა ქვეყანა უკვე ახალ ეტაპზე.

მინდა გავიმეორო ის სიტყვები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ვთქვი: საქართველო ევროპული სახელმწიფო გახდა. ეს პროცესი არის შეუქცევადი. ახლა საჭირო არის კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მეტი მოტივაციით, მეტი საქმის კეთება იმისთვის, რომ ქვეყანა გახდეს რეალურად ევროპული სახელმწიფო და, რაც მთავარია, ჩვენი მთავარი ოცნება ავიხდინოთ, ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია, ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და რეალურ წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება", – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მთავარი ეკონომიკური გზავნილები

მაკა რუხაძე

ირაკლი ღარიბაშვილი: „თუ შევხედავთ ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების ბოლო მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, ვნახავთ, რომ საქართველოს არა მარტო მათ საშუალო მაჩვენებელზე უკეთესი პოზიცია აქვს, არამედ, მთელი რიგი მიმართულებით მოწინავე პოზიციაზეა“

თითქმის სამსაუკუნოვანი ოცნების ასრულებასთან – გახდეს ევროპის სრულუფლებიანი წევრი – ასე ახლოს საქართველო არასდროს ყოფილა. 2023 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა და შეგვიძლია უკვე თამამად ვთქვათ, რომ სულაც არ „უყიალია უგზო-უკვლოდ“ გულგატეხილ დიდ ელჩს – სულხან-საბა ორბელიანს, რადგან სწორედ ახლა იწყებს მუხა შემოსვას...

დიახ, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა და ეს ნიშნავს, რომ ევროპელმა პარტნიორებმა დააფასეს ის რეფორმები, რომლებიც ბოლო პერიოდში გატარდა. დააფასეს ქართველი ხალხის სწრაფვა დიდ ევროპულ ოჯახში ადგილის დასაკმვიდრებლად, დააფასეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები. ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის წლიური ანგარიშის დეტალური ანალიზი, რომელიც სრულყოფილად ასახავს ყველა იმ პროცესს, რაც საქართველოს ევროპეიზაციას უძღვოდა წინ.

ორსაათიანი გამოსვლა, ქვეყნის პრემიერმა იმ პერიოდის შეხსენებით დაიწყო, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად, ხელისუფლება „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა – მწირი ბიუჯეტი და ტერიტორიების 20% ოკუპირებული. მეტიც, ირაკლი ღარიბაშვილმა ციფრებში, დეტალურად შეგვახსენა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), დაახლოებით, 27 მილიარდი ლარი იყო, თუმცა ახლა – 80 მილიარდი ლარია, 2024 წელს – 86 მილიარდი ლარი იქნება.

„ბოლო 11 წელიწადში, „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა – 27 მილიარდი ლარიდან 80 მილიარდამდე; ბიუჯეტი 2012 წელს იყო 8 მილიარდზე მეტი, დაახლოებით, 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი, აქაც თითქმის გავასამმაგეთ ბიუჯეტი, 20 მილიარდით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მთლიანი ნაერთი ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში. ეს არის კონკრეტული შედეგი, რომელზეც მინდა ვისაუბრო დღეს თქვენთან ერთად, ასევე მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ ბოლო სამ წელიწადში, გაიზარდა 30 მილიარდი ლარით მთელი ქვეყნის ეკონომიკა, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, წელს უკვე 8 100 დოლარს შეადგენს მშპ და 2024 წელს, 8 500 დოლარს გადააჭარბებს. ბოლო ორი წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა, წელსაც მიუხედავად ამ დიდი გამოწვევა-კატაკლიზმებისა, რომელიც ხდება ჩვენს რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მაშინ, როცა წამყვანი ქვეყნების ეკონომიკა მცირდება და ბევრგან ვარდნაა სერიოზული, ჩვენ მოვახერხეთ და ბოლო ორი წელი, 10%-ზე მეტით გაგვეზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, წელს 7%-ის ფარგლებში გვაქვს ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის სრული, ასე ვთქვათ, კონტროლი მოვახერხეთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობასა და ხელფასებს, პრემიერმა ეს ნაწილიც 2012 წელთან შეადარა. მისი თქმით, 2012 წელს, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იყო 750 ლარი. ბოლო 11 წელში კი, 1 850 ლარამდე ანუ 2.5-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ხელფასი. ანალოგიურად, ბიზნესსექტორშიც, 2012 წელთან შედარებით, საშუალო ხელფასი 2.5-ჯერ – 780 ლარიდან 2 000 ლარამდე გაიზარდა.

„მთავრობის ვალის მაჩვენებელი 38.2%-მდე ჩამოვიდა. მე შეგახსენეთ, რომ სამი წლის წინ, უკვე 60%-ს გადააჭარბა მთავრობის ვალმა და ჩვენ ეს ბოლო სამ წელიწადში, მაქსიმალურად მოკლე პერიოდში, შევძელით – მთავრობის ვალი მკვეთრად შემცირდა.

რა თქმა უნდა, ბიუჯეტის დაბალ დეფიციტს ვინარჩუნებთ – წელს იყო 2.8 %, გაისად იქნება 2.5 %.

მინდა, მოსახლეობას, ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, რომ მათი შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის შემდეგი მონაცემი: მაგალითისთვის, 2012 წლის დეკემბერში, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები შეადგენდა 14.4 მილიარდ ლარს, ხოლო წელს, სექტემბერში – 75 მილიარდი ლარი იყო საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები. 14 მილიარდიდან 75 მილიარდამდე გაიზარდა, სულ რაღაც 11 წელიწადში. ეს არის 400%-ზე მეტი ზრდა, რა თქმა უნდა, კურსის ეფექტის ჩათვლით. ასევე, 2012 წლის დეკემბრისთვის, საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა, ეს ძალიან საინტერესო მონაცემებია, სხვათა შორის, ეროვნული ვალუტით შეადგენდა 2.8 მილიარდ ლარს, ხოლო უცხოური ვალუტით – 4.9 მილიარდ ლარს; წელს, ოქტომბერში -ეროვნული ვალუტით 24.7 მილიარდი ლარი და უცხოური ვალუტით 25 მილიარდი ლარით არის შეფასებული. დეპოზიტები ეროვნული ვალუტით 800%-ით არის გაზრდილი და უცხოური ვალუტით 400%-ით გაიზარდა – ჩვენი მოქალაქეების შემოსავლები და დეპოზიტები“.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ვითარდება სწორი გზით, ქვეყნის ეკონომიკა იზრდება სწრაფად, ქვეყანა და ჩვენი მოსახლეობა მდიდრდება. მეტიც, მაგალითად, 2003-2012 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წლიურად, საშუალოდ, 950 მილიონი დოლარი იყო, მაგრამ 2013-2022 წლებში, ეს რიცხვი 1.5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა და აქაც თითქმის 60%-იანი ზრდაა, ბოლო 11 წელიწადში. 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა ორჯერ და 2.1 მილიარდი აშშ დოლარია.

რაც შეეხება უმუშევრობას, პრემიერის განცხადებით, 2012 წელს, უმუშევრობის დონე იყო 27%. შარშან, უმუშევრობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე -17%-მდე შემცირდა, ასევე, შემცირდა სიღარიბე და მიაღწია ისტორიულ მინიმუმს – 15%-მდე ჩამოვიდა სიღარიბე. წელს, სამივე კვარტალში, უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა. მესამე კვარტლის მდგომარეობით, კვარტალურ ჭრილში რომ განვიხილოთ, დასაქმების მაქსიმალური მაჩვენებელი და უმუშევრობის მინიმალური დონე ფიქსირდება. უმუშევრობის დონე მცირდება სამუშაო ძალისა და დასაქმების ზრდის პარალელურად. წელს, მაგალითად, მესამე კვარტალში, უმუშევრობის დონე 15.6 % იყო, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობამ მილიონ 366 ათასს მიაღწია, რაც ასევე რეკორდულია.

„ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 1.5-ჯერ – 245 ათასით. მესამე კვარტალში, ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა. მოქმედი ბიზნესსუბიექტების რაოდენობა 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, 71%-ით არის გაზრდილი – 119 ათასიდან 205 ათასამდე. ახლადრეგისტრირებულ ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა შარშან, 2012 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა – 40 ათასიდან 77 ათასამდე. ბიზნესსექტორის ბრუნვის მონაცემებიც უნდა გაგიზიაროთ: 2012 წელთან შედარებით, ოთხჯერ გაიზარდა ბიზნესსექტორის ბრუნვა – 42 მილიარდი ლარიდან 181 მილიარდ ლარამდე. ეს არის ბოლო 10-11 წლის მონაცემები, შედარება რომ გავაკეთოთ. ასევე, 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, სამჯერ გაიზარდა ბიზნესსექტორის გამოშვება – 23 მილიარდი ლარიდან 71 მილიარდ ლარამდე. უკვე წელს, იანვარ-სექტემბერში, ბიზნესსექტორის ბრუნვა 12.6%-ით გაიზარდა – 143 მლრდ ლარი შეადგინა ბიზნესსექტორის ბრუნვამ, ხოლო ბიზნესსექტორის გამოშვებამ 54 მილიარდი ლარი“.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთი, საინტერესო მონაცემი გაგვიზიარა. 2012 წელს, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) ზედმეტობის სახით, ბიზნესს დაუბრუნდა 140 მილიონი ლარი მხოლოდ.

დასასრული მე-16 გვერდზე

რა სიკეთეს მოუტანს ხალხს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე „ვერსიასთან“ ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა საუბრობს.

– ქალბატონო ლელა, მინდა, საუბარი უმნიშვნელოვანესი საკითხით – ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებით დავიწყოთ. რა სიკეთეს მოუტანს სტატუსი ჩვენს ქვეყანას და რა მხრივ არის უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი?

– რასაკვირველია, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოსთვის იყო აუცილებლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია, ევროინტეგრაციის გზა გაგვევლო. ამიტომ, ეს არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ გადაწყვეტილებას? – პირველ რიგში, ევროკავშირი გაცილებით უფრო ყურადღებით იქნება საქართველოში დემოკრატიული პროცესების ხარისხთან დაკავშირებით და იმაზეც, რამდენად იქნება ეს ხელისუფლება მზად, შეასრულოს ის აუცილებელი ცხრა პირობა, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენთან მოლაპარაკებები გაიხსნას და ყველაზე მთავარი – ეს იქნება არჩევნები, რადგან ხელისუფლებისთვის ყველაზე სერიოზული ტესტი იქნება, თუ როგორ ჩაატარებს ამ არჩევნებს.

გარდა ამისა, ჩვენი კანონმდებლობა უნდა დავუახლოვოთ ევროკავშირის კანონმდებლობას და ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩვენი ცხოვრების სტანდარტები მიუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს. რასაკვირველია, ყველაფერი ეს უცებ არ მოხდება, ეს გზა გასავლელია, მაგრამ ეს გზა აუცილებლად მიგვიყვანს უსაფრთხოებამდე და კეთილდღეობამდე, რაც არის ჩვენი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ანუ სხვაგვარად ამ მიზანს, რასაც ჰქვია სუვერენიტეტის შენარჩუნება, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, ვერ მივაღწევთ.

ამასთან, იცით, რომ ევროკავშირში გაცილებით მაღალია ხელფასები, დაბალია საბანკო სესხებზე პროცენტები, მაღალია სოციალური უსაფრთხოება – ეს არის ყველაფერი, საითაც უნდა წავიდეთ და თუ ჩვენ ვივლით სწორად და ხელისუფლება მზად იქნება, შეასრულოს მოთხოვნები, რაც გვაახლოვებს ევროკავშირთან, რასაკვირველია, ამას ჩვენი მოსახლეობა აუცილებლად იგრძნობს საკუთარი ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობაზე.

– მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ოპონირებას არ წყვეტს, ეს გახდა ქართული საზოგადოების გამაერთიანებელი საკითხი. სტატუსს ზეიმობს ყველა ჩვენს ქვეყანაში, რაც რუსეთისთვის, ალბათ, არ იქნება სასურველი და რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ, ამ კუთხით? სხვათა შორის, რუსეთმა დაიწყო მუქარა ფინეთის მიმართულებით და იმაზე პედალირებაც, რომ დასავლეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „მეორე ფრონტის“ გახსნა უნდა...

– სანამ ჩვენ ამ გზაზე ვდგავართ, რუსეთისგან რისკები, მუქარა ყოველთვის იქნება. ბუნებრივია, რუსეთისთვის ძალიან ძნელია, შეეგუოს, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები ცდილობენ, თავი დააღწიონ მას, მაგრამ რაც უფრო სწრაფი ტემპით ვივლით ამ გზაზე, მით ნაკლები შესაძლებლობა ექნება რუსეთს თავისი მუქარის განხორციელებისა, რადგან ჩვენ რეალურად მარტო აღარ ვრჩებით რუსეთთან ისე, როგორც ვიყავით 2008 წელს და მანამდე, 90-იან წლებში.

ასე რომ, შეიცვალა ვითარება მსოფლიოში, იცვლება საერთაშორისო დღის წესრიგი, იცვლება ევროპის ინტერესები. უკვე ზუსტად ვიცით, როგორია ახალი ევროპის არქიტექტურის მთავარი ალგორითმი, ეს არის ევროპა – ლისაბონიდან თბილისამდე და ბუნებრივია, ევროპა

ლელა ჯეჯელავა: „რუსეთს მეთოდები დაუძველდა!“

მაქსიმალურად შეეცდება თავისი ინტერესების დაცვას. რასაკვირველია, ეს მხოლოდ საქართველოს დაცვა არ იქნება და არ იქნება მოწყალება, არამედ, მათ მოუწევთ საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაცვა. ეს ძალიან კარგად იცის რუსეთმა და ამიტომ, მე დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი რუსეთის ამ მუქარას, თუმცა როგორც მათ პრეზიდენტს უყვარს თქმა, „ზაგატოვკები“ ექნებათ, მაგრამ დაუძველდათ მეთოდები. თუნდაც დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი იმდენად რთულ მდგომარეობაშია, იგივე, ინტელექტუალური რესურსის თვალსაზრისით, რომ ვეღარც ახერხებენ ახალი რეალობისთვის შესაფერისი „ზაგატოვკები“ დაამზადონ და ისევ ძველი, ყველასთვის კარგად ნაცნობი და ადვილად პროგნოზირებადი თემებით მანიპულირებენ.

– რუსეთის პიარის კარგად ნაცნობი თემაა „მეორე ფრონტის“ გახსნის მცდელობა დასავლეთისგან. რუსეთის საგარეო დაზვერვა და ინალ არძინბა ამ თემაზე ერთდროულად საუბრობენ, თუმცა საინტერესოა, როგორ მუშაობს ეს საკითხი ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებზე?

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები ზუსტად ისევე აღიქვამენ რეალობას და მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული თვალსაზრისით ძალიან არიან მიბმულნი რუსეთზე, დღეს ინფორმაციის ნაკლებობა აღარ არის ინტერნეტის ეპოქაში. ამიტომ, მათაც გადასარევად იციან, რომ რუსეთის, როგორც იმპერიის, პერსპექტივები უკვე ძალიან საეჭვოა. ის, რომ მათ დე ფაქტო ხელისუფლებას აქვს გარკვეული ვალდებულებები რუსეთთან და მიბმულია, არ ნიშნავს, რომ იქაური საზოგადოება და დე ფაქტო ხელისუფლება ერთიანია და ეს არაერთხელ დამტკიცდა კიდეც. მით უმეტეს, მათ მძიმე ტვირთად დააწვათ, სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო, უკრაინის ომში დაღუპულთა დიდი ტრაგედია. ამიტომ, ბუნებრივია, ყველა თვლის იმაზე, რომ შექმნას მოცემულობა, რომელიც იქნება მისთვის მისაღები. რაც დრო გავა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლები აღმოაჩენენ, რომ რუსეთი ვეღარ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, კეთილდღეობას რომ ვერ უზრუნველყოფს, ეს უკვე გადასარევად ჩანს და ყველასთვის ცნობილია, რა ვითარებაა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ამ რეგიონებში. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი დაიწყებენ ფიქრს, რომ უნდა შექმნან, რაღაც ალტერნატიული რეალობა. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩვენზე – რანდენად სწორად გავივლით იმ გზას, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს ევროკავშირში ინტეგრაციამდე.

ძალიან დიდი სიფხიზლეა ქართული საზოგადოებისგან საჭირო, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ მივცეთ ისეთი შეცდომების ჩადენის უფლება, რაც შეგვიქმნის ბარიერს იმ გზაზე, რომელიც ჩვენს საბოლოო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, თუ ხელისუფლება აღმოჩნდება ბარიერი ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, გვექნება შესაძლებლობა, არჩევნებზე შევცვალოთ ხელისუფლება.

ხშირად საუბრობენ, რომ ოპოზიცია არის სუსტი და ბიძინა ივანიშვილი ყოვლისშემძლეა. არ არის, ბატონებო, ასე. ხელისუფლების უძლეველობაზე რომ გვეფიქრა, ახლა კანდიდატის სტატუსიც არ უნდა გვქონოდა, რადგან კარგად ვიცით ხელისუფლების დამოკიდებულება, მაგრამ იმდენად დიდი იყო ქართველი ხალხის სურვილი, ქართველი ერის ისტორიული ნება გაცხადებულიყო და ჩვენი ადგილი გვეპოვნა დასავლურ ცივილიზაციაში, რომ პირველი შედეგი უკვე დავდეთ. კარგად იცით, რამხელა დატვირთვა ჰქონდა ამ გზაზე იმ ცნობილ ქალბატონს, ნანა მალაშხიას, ევროკავშირის დროშით რომ იდგა რუსთაველზე. ამ ერთმა კადრმა რეალობა შეცვალა და სრულიად შემოატრიალა ევროკავშირის წევრი ქვეყნების განწყობა ჩვენ მიმართ. თუ ჩვენ რეალურად გვენდომება ცვლილებები, ასეთი კადრები და ადამიანები აუცილებლად გაჩნდებიან, რომლებიც იქცევიან ცვლილებების სიმბოლოდ და თუ მხოლოდ ერთ სცენარს განვიხილავთ, რომელიც ოპოზიციის სისუსტეზე იქნება აწყობილი, ბუნებრივია, ასე ცვლილებებთან ვერ მივალთ.

მთავარია, თითოეულმა ჩვენგანმა და საზოგადოების ყოველმა წევრმა იფიქროს, ილაპარაკოს და აკეთოს მხოლოდ ის, რაც ამ ცვლილებებს განაპირობებს.

– ინტერვიუს ბოლოს უნდა მეკითხა, რას ურჩევდით პოლიტიკოსებს და სამოქალაქო საზოგადოებას, რომ სწორად გავიაროთ ეს გზა ევროკავშირში ინტეგრაციამდე, თუმცა ამ კითხვას უკვე ნაწილობრივ უპასუხეთ. რამდენად მნიშვნელოვანია, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება პარტიებისთვის, რათა ევროკავშირში ინტეგრაციის გზის გავლა კონსტრუქციულად შეძლონ?

– ვურჩევდი, იყვნენ ადეკვატურები ახალი დროებისა და პარადიგმისა. სხვა შემთხვევაში, ისინი დარჩებიან ამ პარადიგმის მიღმა და გახდებიან ისტორიის საკუთრება, რადგან ადგილი ცარიელი არასდროს რჩება და ეს პოლიტიკური ვაკუუმიც შეივსება... გამოჩნდებიან ძალები, რომლებსაც ექნებათ ადეკვატური დამოკიდებულებები იმ რეალობასთან, რომელიც მსოფლიოში არსებობს. არ შეიძლება, კონტექსტიდან ამოგლეჯილად განვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, რადგან დღეს ისეთი დიდი ცვლილებები მიდის მთელ მსოფლიოში, ამ პარტიების შიგნით არსებული ურთიერთდაპირისპირება, თუნდაც ამ ტიპის პოლიტიკოსები იმდენად პატარები არიან ამ გლობალურ სურათში, რომ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არც დავუთმობდი. ამიტომ, მთავარია, ქართველმა ხალხმა დაიჯეროს, რომ ცვლილებები მათ ხელშია და დარწმუნებული ვარ, თუ ვცოცხლობთ, როგორც ერი და სახელმწიფო, ცვლილებების სურვილი უნდა იყოს გარდაუვალი, რადგან ყველა ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისთვის, გარკვეული ციკლის გავლის შემდეგ, აუცილებელია ცვლილება. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოხდება ისევე, როგორც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბევრი სურთუ-ლის მიუხედავად, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მივიღებდით. მჯერა ჩემი ქვეყნის, ხალხისა და ცვლილებებისა, რომლებიც გველის.

რას აკეთებს ლევან ხაბეიშვილი ენმ-ისთვის ისეთს, რასაც ვერ აკეთებდა ნიკა მელია

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ლაშა ფარულავა: „სტატუსი თაობების ყველაზე დიდი გამარჯვებაა“

„ვერსია“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ ლაშა ფარულავასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– ბატონო ლაშა, საუბარი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შეფასებით დავიწყოთ.

– რა თქმა უნდა, ეს თაობების ყველაზე დიდი გამარჯვებაა, რომელიც საქართველომ მოიპოვა. ეს ყველა იმ სეგმენტის გამარჯვებაა, რომლებიც წლებია, ამაზე მუშაობს, მათ შორის მედიის, რადგან ჩვენ გადავდივართ ევროპულ სტანდარტზე. ჩვენ გვინდოდა, თავისუფალი ქვეყანა შეგვექმნა და, ამ თვალსაზრისით, უდიდესი ნაბიჯი გადავდგით. ცხადია, ამავდროულად, ეს არის გამარჯვება იმ ადამიანებისა, რომლებიც აფხაზეთსა და ცხინვალში თავი დადეს ამ სახელმწიფოსთვის – ეს არის თამაზ გინტურის, ოთხოზორიას, ტატუნაშვილის, შინდისის გმირების, ანწუხელიძის გამარჯვება და ახლა საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა, რათა მივიდეთ ევროკავშირის წევრობამდე. შესაბამისად, ჩვენ გვექნება გეგმა, ხედვა, რომ სწრაფად განვახორციელოთ რეფორმები და ამით ქვეყანა დაჩქარებული წესით გავაწევრიანოთ ევროკავშირში. ეს იქნება ენმ-ის საარჩევნო პროგრამა 2024 წლის არჩევნებისთვის.

– როცა ინტერვიუზე გითანხმდებოდით, მითხარით, რომ ამერიკელებს ესაუბრებოდით. როგორც ცნობილია, მათგან საარჩევნო გეგმებთან დაკავშირებით იღებთ რეკომენდაციებს, ასეა?

– ცხადია, საარჩევნო გეგმებს შეეხება. ვსაუბრობდით იმაზე, რომ ევროკავშირთან შემდგომი ნაბიჯები გამოცდილებასაც მოითხოვს და ამას გვიზიარებენ ამერიკელი კონსულტანტები, რომლებიც იმ ქვეყნებში მუშაობდნენ, რომლებმაც ეს გზა გაიარეს და მათ შორის დაამარცხეს რუსული პროპაგანდა. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ამ გეოპოლიტიკური ტრაექტორიიდან საქართველოს გადაეხვია, თუმცა მარტის მოვლენებმა განსაზღვრა დღევანდელი დღის წესრიგი – საქართველომ მიიღო სტატუსი. ყველა ჩვენი პარტნიორი იმაზე საუბრობს, რომ ქართველი ხალხი ამას იმსახურებს და პირველ რიგში, ის ხალხი, ვინც მარტის მოვლენების დროს უარი უთხრა ე.წ. რუსულ კანონს. ეს კანონი იყო პრობლემა ევროინტეგრაციის გზაზე.

– სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერები და ზოგი ოპოზიციონერიც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შეცვალეთ სტრატეგია – აქამდე ამბობდით, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა სტატუსის არმისაღებად, მაგრამ ეს სტატუსი მოგვანიჭა ევროკავშირმა და ახლა გადაერთეთ იმის მტკიცებაზე, რომ ეს ხელისუფლების კი არა, ოპოზიციის დამსახურებაა.

– ქართველი ხალხი საკმაოდ ჩახედულია და კარგად ერკვევა, თუ ვის უნდოდა ამ ქვეყანაში ევროპული პერსპექტივა და მათ გვერდზე დადგა, როცა დაინახა მარტში ჩვენი ბრძოლა პარლამენტთან. ეს ხომ ჩვენი საერთო გამარჯვებაა და ამას, ცხადია, იმსახურებენ „ქართული ოცნების“ წევრების შვილებიც, ჩვენი მომავალი, რომელიც იდგა მარტის აქციებზე და იბრძოდა... თუმცა, თუ პოლიტიკურ რაკურსში განვიხილავთ, იყო 12 პუნქტი და მათგან არც ერთი შეასრულა კეთილსინდისიერად ხელისუფლებამ, რომელსაც აქვს სრული უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში. მათ შორის, რაც შეეხება დეპოლარიზებასაც, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია და ევროპელი ლიდერები საუბრობენ იმაზე, რომ მას უნდა მიეცეს უფლება, იმკურნალოს, პირველ რიგში. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, მისი მოსამართლეები არიან აშშ-ის მიერ სანქცირებულნი. შესაბამისად, ცხადია ხელისუფლების პოლიტიკური მიზანი...

– ბატონო ლაშა, ცოტა ხნის წინ, ნიკა მელიამ თავისი გუნდით დატოვა თქვენი პარტია. როგორ ფიქრობთ, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ეს ცვლილება რამდენად მიაყენებს ზიანს ენმ-ს და როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში 2022 წელს იყო კრიზისი, რომელიც გადაილახა შიდაპარტიული არჩევნებით, რომელიც მოამზადა და ჩაატარა ნიკა მელიას ჯგუფმა და რომელშიც დამარცხდა ნიკა მელიას ჯგუფი. ამ დამარცხებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა ამომრჩეველმა, რომელმაც უარი უთხრა ნიკა მელიას იმის გამო, რომ მისი ნაბიჯები იყო კონტრპროდუქტიული იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომელიც პარტიას აქვს. ეს საკითხი ამით უნდა დამთავრებულიყო, თუმცა, მათი შტაბის წევრებმა გააგრძელეს დესტრუქცია პარტიაში. იმავე დღეს დატოვეს თანამდებობები პარტიაში, ჩაგვიდგნენ ოპოზიციაში, როცა ჩვენ უნდა ვიყოთ ხელისუფლების ოპოზიციაში, შემოიტანეს საკითხად კეზერაშვილი და მერაბიშვილი, თუმცა თავადაც ხედავდნენ, რომ ყველა გადაწყვეტილება ფართო ჩართულობით იქნა მიღებული პარტიაში.

შემდეგი ნაბიჯი პოლიტსაბჭოსთან დაკავშირებით, რომელიც საჯილდაო ქვად გახადა ნიკა მელიამ... პოლიტსაბჭოს მარტში გასდიოდა ვადა და თებერვალში ავირჩიეთ მოკლე პოლიტსაბჭო, რათა ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ეს იყო აუცილებელი...

– რაც უსამართლობად მიიჩნია ნიკა მელიას გუნდმა.

– ავირჩიეთ პოლიტსაბჭოს 1/3 ყრილობით და მანდატების 2/3 გამოვიტანეთ არჩევნებზე, სადაც ცარიელი ფურცელი გავატანეთ მელიას შტაბის წევრებს და ვუთხარით, როგორიც უნდოდათ, იმ ტიპის არჩევნებს ჩავატარებდით და ფართო ჩართულობით უზრუნველვყოფდით, რომ პოლიტსაბჭოს არჩეულ პირებს ჰქონოდათ ელექტორალური მხარდაჭერა. ამაზე ჯერ დუმილი, შემდეგ კი უარი მივიღეთ. ამ კომუნიკაციაში ჩართული იყო კობა ნაყოფიაც, რომელიც ცდილობდა მელიას შტაბის წევრების დათანხმებას, რომ ჩართულიყვნენ პოლიტსაბჭოს არჩევნების ჩატარებაში, თუმცა უარი მივიღეთ. ჩვენ მაინც ჩავატარეთ და ამ ადამიანების მხარდაჭერა გადაწყვიტა 30 000-მა ადამიანმა.

მათი დესტრუქცია გრძელდებოდა, მაგალითად, ახალციხეში იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელებიც ყოველთვიურად ტოვებდნენ პარტიას. რა თქმა უნდა, ეს საკითხი უნდა დახურულიყო და დავხურეთ. ნიკა მელიასთან დაკავშირებით პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, ერთიანობის მანიფესტი მიეღოთ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის იდეა იყო, რაც გულისხმობდა ჩვენს გაერთიანებას მთავარი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ და აქაც მივიღეთ ის, რომ ეს ადამიანები არ მოვიდნენ. არ მოვიდნენ „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავზე, რომელიც მხოლოდ პარტიული ღონისძიება არ იყო. ჩვენი პარტია „ვარდების რევოლუციის“ ფასეულობებისა და იდეის ერთგულია. მიხეილ სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ მთავარი გმირი და შემოქმედია, ამიტომ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე რომ არ მოდიხარ, ცხადია, პარტიის მიღმა იტოვებ თავს და აღარ წარმოადგენ მის იდენტობას. შემდეგ რაც მოხდა, მოხდა... თუმცა, ეს პროცესი ჯერ კიდევ შიდა არჩევნების შემდეგ დაიწყო.

– დიახ, ჯერ კიდევ იანვარში განაცხადეთ, რომ ნიკა მელია საკუთარი ამომრჩევლისთვის ტვირთი იყო, რადგანაც ის ვერ უმკლავდებოდა გამოწვევებს. საინტერესოა, რას აკეთებს ლევან ხაბეიშვილი სწორად ისეთს, რასაც ვერ აკეთებდა ნიკა მელია?

– კარგი კითხვაა, ვინაიდან ლევან ხაბეიშვილს ჰქონდა პროგრამა, რომლითაც ამომრჩეველმა აირჩია. აქ იგულისხმებოდა საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა, მეტი კოორდინაცია რეგიონული ხელმძღვანელებისა და მათი ჩართულობა პარტიის ადმინისტრაციასთან. პარტიაში ყველა გადაწყვეტილება ფართო ჩართულობით იქნა მიღებული და პარტიის გადაწყვეტილებებში ჩართულია პრეზიდენტი სააკაშვილი. მანამდე ის ამბობდა, არ მაინტერესებს შიდა პოლიტიკაო. იმიტომ არ აინტერესებდა, რომ ბევრი პრობლემა იყო პარტიაში.

– ნიკა მელია არ აძლევდა ამის უფლებას?

– არ ვიყავი ჩართული პარტიის წინა ხელმძღვანელობაში, ამიტომ არ მინდა ისეთი შეფასება გავაკეთო... თუმცა, დღეს ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩართულია პარტიის ფუნქციონირებაში. ეს ჩართულობა არაა იმ ხარისხის, როგორც გვინდა. გვინდა, რომ ის იყოს კამპანიის ლიდერი და თავად ესაუბრებოდეს ამომრჩეველს. ის არის წარმატებული პოლიტიკოსი, ამიტომაც უფრთხის ხელისუფლება და გამომწყვდეული ჰყავს, თუმცა ეს ასე ვეღარ გაგრძელდება. ჩვენ ვითხოვთ სამართლიან არჩევნებს. ამაზე გვაქვს კომუნიკაცია ამერიკელებთან, ბრიტანელებთან – სტრატეგიულ პარტნიორებთან. გვეხმარებიან კომუნიკაციაში სხვა პარტიებთან, მათ შორის, ხელისუფლებასთან, რომ იმ სტანდარტის არჩევნები აღარ ჩატარდეს, რაც იყო 2021 წელს.

სამართალი

№48 20 დეკემბერი 2023 წ

საქართველოში ახალი მომაკვდინებელი ნარკოტიკი გამოჩნდა

რა არის და ვინ აწვდის ნარკოდამოკიდებულებს „მიწას“

ბათო ჯაფარიძე

ნარკოტიკების პრობლემაზე არაერთხელ დაგვიწერია და სამწუხაროდ, პრობლემა არათუ არსებობს, არამედ, ყოველდღიურად ღრმავდება. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ სტატისტიკურად, სულ უფრო მეტი არასრულწლოვანი მოიხმარს ნარკოტიკს და სწორედ ამაზე საუბრობდნენ მაშინ ის ადამიანები, რომლებიც ნარკოლიბერალიზაციის წინააღმდეგ გამოდიდოდნენ. ძალიან, ძალიან ცოტა დრო დაგვჭირდა იმისთვის, რომ ამ კანონის უარყოფითი მხარეები ნათლად დაგვენახა და ცუდია, რომ სამართალდამცავები უძლურნი არიან. მათი უძლურების მიზეზი კი, სწორედ კანონია, რომელიც ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი პირების დაპატიმრებას არ ითვალისწინებს. ჰოდა, სამართალდამცავები არ მალავენ, რომ ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფ პირებს, პრაქტიკულად, აღარ აკავებენ, რადგან ორსაათიანი პროცედურების გავლის შემდეგ, იძულებულნი არიან, ისინი გაუშვან.

ცალკე პრობლემაა ჩანაწერი კანონში, რომლის მიხედვითაც, დაკავებულ პირს უფლება აქვს, უარი თქვას სისხლისა და შარდის ჩაბარებაზე, რათა ექსპერტიზა ჩაუტარდეს და ამის იძულების უფლება ძალოვნებს არ აქვთ. ეს ნიშნავს, რომ შესაძლოა, პირი „კოკაინის“, „ჰეროინის“, ან სხვა მძიმე ნარკოტიკის თრობის ქვეშ იყოს, მაგრამ ანალიზის ჩაბარებაზე უარი თქვას.

ალბათ, მხოლოდ საქართველოში ხდება ისე, რომ ნაარკოდამოკიდებულების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს და უფულობის გამო, ისინი სხვადასხვა გზას ეძებენ „კაიფისთვის“. ამის ნათელი მაგალითი იყო ე.წ. კრაკადილის მოგონება, რომელმაც არაერთი ადამიანი არათუ დააინვალიდა, არამედ, მოკლა კიდეც. სხეულზე ის ადგილი, რომელზეც ინექციას იკეთებდნენ, სამ დღეში ლპობას იწყებდა და შემდეგ ისე ფუჭდებოდა, საჩვენებელი თითი ნახევრამდე ჩადიოდა და ტოვებდა ღრმულს. ამის მიუხედავად, სიიაფის გამო, „კრაკადილს“ არაერთი ადამიანი იკეთებდა.

ბოლო „გამოგონება“ ნაძვის წიწვებისგან მიღებული შხამი იყო, რომელსაც ვენაში უშვებდნენ და მართალია, იაფი ჯდებოდა, მაგრამ მისგან მიღებული „კაიფი“ ცოტახანს გრძელდებოდა და ის მოხმარებიდან მალე გავიდა. ახლა კი... ახლა ბაზარზე „მიწა“ გამოჩნდა.

რა არის ნარკოტიკი „მიწა“? მოგეხსენებათ, როცა შსს-ს საცავებში ნარკოტიკების გარკვეული ოდენობა გროვდება, დგება სპეციალური კომისია, რომელიც ამ ნარკოტიკებს ანადგურებს. ნაწილი სპეციალურ ღუმელში ნადგურდება, რომელსაც 12 ადამიანი ესწრება და დგება სპეციალური ოქმი, თუმცა არის ნარკოტიკების სახეობა, რომელსაც ღია სივრცეში ანადგურებენ, ცეცხლს ანთებენ და წვავენ. ჰოდა, როგორც გვეუბნებიან, სწორედ ამ ადგილს მიაგნეს გარკვეულმა ადამიანებმა და... იმ ადგილიდან, სადაც ცეცხლი ენთო და ნარკოტიკი ნადგურდებოდა, იღებენ მიწას და ნარკოტიკული თრობისთვის იყენებენ. სამწუხაროდ, ასეთი ადგილები დაუცველია და ამ სახის ნარკოტიკზე წვდომა უფასოდაც კი შეიძლება. რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, იყიდება არა მარტო ამ ადგილიდან აღებული მიწა, არამედ, ქვებიც. ისინი ქვის ზედაპირს ფხეკენ, შემდეგ ასხამენ ბენზინს, „რასტვარიტელს“, შემდეგ უკიდებენ ცეცხლს, შემდეგ უნიტაზის სარეცხ „კროტს“ და საბოლოოდ, მიღებულ მასას... ვენაში იკეთებენ. ვენაში ამ შხამის გაკეთებას ბევრი არ რისკავს, მიღებულ ფხვნილს თუთუნში, ან „მარიხუანაში“ ურევს და ეწევა. საუკეთესო შემთხვევაში, ამ მინარევის ხანგრძლივი მოხმარება კომას იწვევს და ვიმეორებ – ეს საუკეთესო შემთხვევაში.

ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ სანამ შსს ნარკოტიკებს გაანადგურებს, მათი ქიმიური დამუშავება ხდება ანუ ასხამენ ისეთ ქიმიურ ნაერთს, რომლის შემდეგაც ამ ნარკოტიკის დაწვისა და მიწაში ჩაღვრის შემდეგ კი არა, ისე გამოყენებაც სიცოცხლისთვის სახიფათოა, თუმცა ქართველ მომხმარებელს ეს ნაკლებად ადარდებს. სამწუხაროდ, სამართალდამცავებს კანონი არ ავალდებულებს, ასეთი ადგილები მუდმივი დაცვისა და მეთვალყურეობის ქვეშ იყოს. გარდა ამისა, ვინ მოიფიქრებდა, რომ ქიმიურად დამუშავებული, პრაქტიკულად, განადგურებული და შემდეგ დამწვარი ნარკოტიკის ჩიჩქნას დაიწყებდა რომელიმე ჭკუათმყოფელი.

ქიმიურ ნაერთებს სხვადასხვა თვისება აქვთ. ზოგი, გაცხელების შემდეგ, იცვლის თვისებას და მომწამვლელი ხდება, ზოგი პირიქით – გაცხელება-გაციების შემდეგ არის შხამიანი და ხომ ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე, როცა „მიწაზე“ ვსაუბრობთ?

რომ არაფერი ვთქვათ უშუალოდ ნიადაგსა და მასში არსებულ ნაერთებზე, იქ ჩაღვრილი სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება რეაქციაში შედის იმ ქიმიურ ნაერთთან (ძირითადად ქლორთან), რომელმაც ნარკოტიკი ისედაც უვარგისი უნდა გახადოს. მერე, ყველაფერი ეს იწვება, ერთმანეთში ირევა, ორთქლდება, ნარჩენი რჩება, იღვენთება... და ამ მასას შემდეგ „კროტით“, „რასტვარიტელითა“ და ბენზინით რეცხავენ, ადუღებენ, ხარშავენ, ისევ წვავენ და... ან იკეთებენ, ან ეწევიან.

ჩვენი ინფორმაციით, შსს-ს გადაწყვეტილი აქვს, ყველა იმ ადგილის ტრაქტორით დამუშავება, სადაც ნარკოტიკები გაანადგურეს ანუ მიწას ამოაბრუნებენ და დაახლოებით, 4-5 მეტრის სიღრმეზე დამარხავენ. რა თქმა უნდა, ეს არ არის იმის გარანტია, რომ „მოხალისეები“ მიწის თხრას სიღრმეზე არ დაიწყებენ, მაგრამ ეს ხანგრძლივი და დამღლელი პროცედურაა, თანაც შეუმჩნევლად ვერ მოხერხდება ამხელა სამუშაოს ჩატარება და, ეგებ, ეს მართლაც გამოსავალი იყოს.

არის კიდევ უფრო მარტივი შესაძლებლობაც – წინასწარ ამოითხაროს ორმო, სადაც ნარკოტიკებს გაანადგურებენ და დაწვის შემდეგ, ამ ორმოში ამოღებული მიწა ჩაიყაროს. ასე, გარანტირებულად და ღრმად დაიმარხება ის ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც შემდეგ ნარკორეალიზატორები იღებენ, ამუშავებენ და როგორც ნარკოტიკს, ისე ჰყიდიან. სინამდვილეში, ჰყიდიან სიკვდილს, ნელი მოქმედების ბომბს,რომელიც არაერთ მოზარდს აუფეთქდა.

შეგიძლიათ, თავადაც შეამოწმოთ სამედიცინო დაწესებულებების ჩანაწერები და ნახავთ, რომ მათთან არაერთხელ მიუყვანიათ მოიზარდები, რომლებიც მშობლების თქმით, უბრალოდ, გაითიშნენ, გონება დაკარგეს და სისხლის ანალიზის ჩატარების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მათ სხეულში 10-15 სახეობის სხვადასხვა ნაერთია, რამაც საბოლოო ჯამში, კომა და გონების დაკარგვა გამოიწვია. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ექიმებიც კი უძლურნი არიან, ასეთი ქიმიური ნაერთისგან ორგანიზმი სრულად გაწმინდინ და არაერთი ფატალური შედეგიც დამდგარა. მერე კი, ისევ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, მშობლები არ ახმაურებენ გარდაცვალების რეალურ მიზეზს, მეზობლებსა თუ ნათესავებშში, ჭორად დადის, ნარკოტიკების მიღების შედეგად გარდაიცვალაო. ნაცვლად იმისა, რომ მშობლებმა ბოლო ხმაზე იყვირონ, სხვა მშობლები გააფრთხილონ, არიქა, ჩვენი შვილი რაღაც შხამს იღებდა და თქვენც ფხიზლად იყავითო, ჩუმად ყოფნას არჩევენ და ოჯახის სახელისა თუ ღირსების გადარჩენით არიან დაკავებული.

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ნარკოტიკებზე მოთხოვნა გაიზარდა, სამწუხაროდ, ინტერნეტით მათი შეძენა პრობლემას არ წარმოადგენს. მეტიც, მისი შეძენა სულ უფრო მარტივდება და საზღვარგარეთ მყოფი დილერები სულ უფრო მეტ თანხას უხდიან იმ პირებს, რომლებიც მზად არიან, ნარკოტიკი სკვერებსა თუ სხვა ადგილებში დამალონ და ლოკაციის ფოტოები გადაგზავნონ. უფრო ცუდი ის გახლავთ, რომ ამის გაკეთების მსურველი სულ უფრო ბევრია და როცა სამართალდამცავები ახერხებენ ქსელის გახსნას, მათ მიერ ნასროლ ბადეში, სწორედ მეორე და მესამეხარისხოვანი პირები ხვდებიან, მთავარი ლიდერი კი, რომელიც ყველაფერს აკონტროლებს, საზღვარგარეთაა და მისი არათუ დაპატიმრება, უმრავლეს შემთხვევაში, ვინაობის დადგენაც კი შეუძლებელი ხდება.

გამოსავალი ის გახლავთ, რომ ძალოვნებმა ყველაფერი უნდა იღონონ და საზღვრები უფრო მეტად აკონტროლონ. ის მოქალაქეები, რომლებიც საქართველო-რუსეთის საზღვარს ლარსის გამშვები პუნქტიდან კვეთენ, ამბობენ, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, კონტროლი თითქოს უფრო გამკაცრდა. პროცედურულ შემოწმებებს დაუმატეს ავტომობილის მინების ჩაწევა-აწევაც და ხმას უსმენენ ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ნარკოტიკებს მანქანის კარში მალავენ, მინის აწევ-ჩაწევა კი ასეთ დროს განსხვავებულ ხმას უნდა გამოსცემდეს. არადა, საქმეში ოთხფეხა მეგობრებიც თუ ჩაერთვებიან და მუდმივად გააკონტროლებენ ყველა ავტომობილს, ცუდი არ იქნება.

ვიღაც იტყვის, რომ ეს შეფერხებას გამოიწვევს და მგზავრებს დიდხანს მოუწევთ ლოდინი, რაც სიმართლეა, თუმცა ერთი საათით მეტი ლოდინის სანაცვლოდ, ნარკოტიკების შემოტანას, თუნდაც რუსეთიდან, მინიმუმამდე დავიყვანთ.

რუსეთის გარდა, ნარკოტტიკების შემოტანის საფრთხე ზღვით და სხვა სახმელეთო საზღვრებითაც არსებობს.

ამასთან, სახელმწიფო, ალბათ, ვალდებულია, ნარკოტიკების რეალიზაციაზე კანონი უფრო გაამკაცროს და თუნდაც მცირე დოზის გასხვისების შემთხვევაში, მინიმუმ ორნიშნა სასჯელი მისცეს რეალიზატორს, დიდი ოდენობა კი უპირობოდ უნდა ისჯებოდეს სამუდამო პატიმრობით პირველი 25 წლის განმავლობაში, შეწყალების უფლების გარეშე.

ცნობილი საამქროს დირექტორი საკუთარ კაბინეტში მოკლული იპოვეს

ვინ დაგეგმა მკვლელობა და რატომ ფიგურირებს საქმეში თანაშემწის ქმარი

ბათო ჯაფარიძე

კომუნისტების დროს ასეთი გამოთქმა არსებობდა – „დირექტორი მერქვას და თუ გინდა, საპირფარეშოსი იყოსო“. მართლაც, „დიად კომუნიზმში“ დირექტორს სხვა დაფასება და სხვა წონა ჰქონდა, როგორც მეზობლებში, ისე ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებში. დირექტორი მოვიდაო, სადმე, გასვენებაში ან ქორწილში რომ იტყოდნენ, მოწიწებით იმსჭვალებოდა ყველა და არავინ კითხულობდა, რისი დირექტორი იყო. დირექტორის მოხსნა თუ დანიშვნა, პრაქტიკულად, საზოგადოებრივი მოვლენა გახლდათ. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა ერთ-ერთი ასეთი დირექტორი საკუთარ კაბინეტში გარდაცვლილი იპოვეს. უფრო ზუსტად, მოკლული – დანა ისე ღრმად ჰქონდა ჩარტყმული, რომ მხოლოდ ტარი ჩანდა.

რაღა თქმა უნდა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ზემდგომებმა ძიება პირად კონტროლზე, სამინისტროში აიყვანეს. მოკლული დირექტორი მდივანმა ნახა, რომელმაც ისეთ ხმაზე იყვირა, მთელი საამქრო ფეხზე დადგა. მალე ყველამ იცოდა, რომ დირექტორი მოკლეს და სამწუხაროდ, არავის გაახსენდა, რომ დირექტორის კაბინეტში დამნაშავეს, შესაძლოა, რაიმე კვალი დაეტოვებინა და ამ კვალს თანამშრომლები, მისდაუნებურად, საგულდაგულოდ შლიდნენ. მეტიც, ვიღაცას აზრად მოუვიდა და სავარძელში მისვენებული დირექტორი დივანზე გადაასვენეს, დანის ამოღება ვერავინ გაბედა, მაგრამ სადღაც ზეწარი ნახეს და ის გადააფარეს. როცა ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ, ყველაფერი დასრულებული იყო – საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას აზრი, პრაქტიკულად, არ ჰქონდა, მაგრამ ექსპერტმა ოთახიდან მაინც ყველა დაითხოვა და მეტიც, ფანჯრის რაფაზე ფეხსაცმლის ანაბეჭდსაც მიაგნო. იმის გათვალისწინებით, რომ ფანჯარა შიგნიდან ჩაკეტილი არ იყო, დიდი გახლდათ ალბათობა, რომ მკვლელი სწორედ ფანჯრიდან გადაძვრა და ფეხსაცმლის ანაბეჭდი მაშინ დატოვა.

„მე არაფერი ვიცი. ბოლოს დირექტორთან მისი მძღოლი იყო, რომელსაც თავად დაუძახა, მაგრამ არ ვიცი, რატომ. ცოტა ხანში შევედი, ჩაი უნდა მიმერთმია, მძღოლმა მანიშნა, ჩაი მაგიდაზე დადე და გადიო. დირექტორი სავარძელში იჯდა, სკამი მიტრიალებული ჰქონდა და ტელეფონზე საუბრობდა. მერე მასთან არავინ შესულა და როცა ნახევარ საათში საბუთი შევუტანე ხელმოსაწერად, უკვე მკვდარი იყო“, – ტირილით ამბობდა მდივანი.

„რასაც მდივანი ამბობს, სრული სიმართლეა. მძღოლმა დამიძახა, თვეში ერთხელ, ბანკში ქეში მიმაქვს და არავინ იცის, რა დღეს წავიღებთ ხოლმე, მეც არ ვიცი, უბრალოდ, დამიძახებს და მეუბნება, დღეს ბანკში ამდენი და ამდენი უნდა წაიღოო. სეიფიდან მაძლევს თანხას ჩანთით და არასდროს ვითვლი იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვენდობოდით, წლებია, მასთან ვმუშაობდი და გაუგებრობა არასდროს გვქონია, მით უმეტეს, ფინანსურ საკითხში. დღესაც დამიბარა, რომ შევედი, ხელით მანიშნა, დაჯექიო, ტელეფონზე საუბრობდა. მერე გათიშა, სხვა ნომერი აკრიფა და მითხრა, დღეს ფულს წაიღებო. წამოვდექი, ისევ მანიშნა, დაჯექიო და ტელეფონში ჩხუბი დაიწყო, მე კი მანიშნა, გარეთ დამელოდეო. ამ დროს მდივანი შემოვიდა ჩაის ჭიქით, მე ტუჩებზე ავიფარე ხელი, ჭიქა დავადებინე და გარეთ გავედით. მერე რომ აღარ დამიძახა, დაბლა ჩავედი, არ უყვარდა, როცა უკითხავად აწუხებდნენ. მერე კი, კივილი ატყდა. სამწუხაროდ, მანქანა ფანჯრის მხარეს არ დგას და არ დამინახავს, ვინმე გადმოხტა თუ არა“, – ეს უკვე მძღოლის ჩვენება იყო და ორივე ადასტურებდა, რომ დირექტორი კაბინეტში ცოცხალი დატოვეს, მერე კი ოფიციალური შესასვლელით მასთან არავინ შესულა.

ექსპერტმა ფანჯრის დაბლა შეამოწმა მიწა და თავი გადააქნია, დანის დარტყმის სიძლიერეს თუ გავითვალისწინებთ, მკვლელი მამაკაცი უნდა ყოფილიყო და თან საკმაოდ ძლიერი, აი, ფანჯრიდან თუ გადმოხტა, მაშინ მიწაზე მკვეთრი დახტომის ადგილი უნდა იყოს, მაგრამ ასეთი არაფერი ჩანსო. გამომძიებლებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს, რადგან ერთ-ერთმა თანამშრომელმა „საიდუმლოდ“ უთხრა, დანა ვიცანი, მდივნის ქმრის არის, პიკნიკზე რომ ვიყავით, მაშინ ჰქონდა წამოღებული, მომეწონა, ხელშიც ვატრიალე და ზუსტად ის დანაა, არ მეშლებაო. ისიც ითქვა, ქმარი მდივანსა და დირექტორზე ეჭვიანობდა და ხანდახან, გაუფრთხილებლად მოდიოდა, აქაოდა, ფაქტზე უნდა გამოვიჭიროო. არსებობდა შანსი, რომ ქმარი ისევ მოვიდა, რაღაც დაინახა, ან უბრალოდ, იეჭვიანა და ცხელ გულზე დირექტორი მოკლა, მდივანი კი ამ ყველაფერს მალავდა და ქმრის გადარჩენას ცდილობდა. რა თქმა უნდა, ოპერმუშაკები ქმრის დასაკავებლად წავიდნენ.

„დირექტორი მოკლეს? მე რა შუაში ვარ? აგერ, ორი საათია, მანქანა მყავს დაშლილი და ვაწყობ, ეზოდან ფეხი არ გამიდგამს, ხან ერთი მეზობელი მეხმარებოდა, ხან – მეორე. ტყუილად ცდილობთ ჩემთვის ამ საქმის შეტენვას. რაც შეეხება დანას, დიახ, საამქროს თანამშრომლები პიკნიკზე რომ იყვნენ, მეც წავედი, ჩემი დანა მქონდა, მაგრამ ვიღაცამ მომპარა, მანქანიდან ამომაცალეს, ზუსტად მახსოვს, რომ საბარგულში შევინახე, სახლში მისულს კი აღარ დამხვდა“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა.

მის სახლში და ავტოფარეხში ჩხრეკა ჩატარდა და სამართალდამცავებმა იმ ფეხსაცმელს მიაგნეს, რომლის ანაბეჭდიც ფანჯრის რაფაზე იყო. ეჭვმიტანილმა მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, ჩემი ფეხსაცმელი იქ როგორ აღმოჩნდა, მაგრამ ჩემს ავტოფარეხში უამრავი ადამიანი შედის და გადის, ხან რა სჭირდებათ, ხან – რა და ნებისმიერს შეიძლებოდა, აეღოო. მიუხედავად იმისა, რომ მას უტყუარი ალიბი ჰქონდა, მაინც დააკავეს, რადგან ყველაფერი ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს. გამოძიება სხვა ვერსიაზე არ მუშაობდა და დაკავებულის გამოტეხვას ცდილობდა. იმისთვის, რომ სურათი სრულად აღედგინა, გამომძიებელი საამქროში წავიდა, მდივანი დაიბარა და გამოკითხვა დაიწყო, როგორ იჯდა გარდაცვლილი, ტელეფონი ეკავა თუ არა ხელში, რამდენ ხანში შევიდა მას შემდეგ, რაც ბოლოს, მძღოლთან ერთად, ცოცხალი ნახა, რაზე საუბრობდა ტელეფონით, იყო თუ არა აღელვებული, ეტყობოდა თუ არა სახეზე სიბრაზე, ვის ესაუბრებოდა და ა.შ.

„სიმართლე გითხრათ, როცა ჩაი შევიტანე, მისი სახე არ დამინახავს – მიტრიალებული იყო სავარძელში. ჩანდა, რომ ტელეფონი ეჭირა ხელში, რადგან ტელეფონის კაბელი გაჭიმული იყო. არც საუბრის ხმა გამიგია, მძღოლმა მანიშნა გავიდეთო და გამოვედი. მერე, დაახლოებით, ნახევარ საათში შევბრუნდი და მგონი ზუსტად იგივე მდგომარეობაში დამხვდა, ოღონდ დანა ჰქონდა მკერდში ჩარჭობილი“, – განაცხადა ქალმა და... გამომძიებელი პირველად დაფიქრდა იმაზე, იყო თუ არა დირექტორი ცოცხალი, როცა მასთან მდივანი შევიდა? საერთოდ, რას წარმოადგენდა მძღოლი და თუ მართლაც რეკავდა გარდაცვლილი, ვისთან და რისთვის?

ყველა ეს ინფორმაცია გადასამოწმებელი გახლდათ და რაც მთავარია, აუცილებლად შესასწავლი იყო თავად მძღოლის წარსული და აწმყო. გამომძიებელმა მთელი განყოფილება ფეხზე დააყენა და დღის ბოლოს უკვე იცოდა, რომ იმ დღეს დირექტორის კაბინეტიდან ზარი არ განხორციელებულა, რაც შეეხება მძღოლს...

„ის ბანქოს მოამაშეა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოთამაშე ქალაქში, ძალიან კარგად თამაშობს, ძალიან ბევრსაც იგებდა და სწორედ მისთვის, რუსეთიდან შულერი ჩამოიყვანეს, რომელმაც დიდი თანხა მოუგო. მან თანხის ნაწილი გაისტუმრა, მეორე ნაწილი – ვერა და „სოჩიკი“ ჩაურთეს, ოჯახის წევრების მოკვლით დაემუქრნენ და მან ეს თანხა სწორედ დირექტორის მკვლელობის დღეს დაფარა ანუ მაშინ, როცა მკვლელობასთან ერთად, სეიფიდან დიდი თანხა გაქრა“, – ეწერა ოპერმუშაკის პატაკში.

ისიც გაირკვა, რომ თანამშრომლების პიკნიკზე მძღოლიც იყო და რაც მთავარია, რამდენიმე დღის წინ, მან მდივნის ქმარს ავტოფარეხის გასაღები სთხოვა, რაღაც ნაწილი მჭირდებაო და ზუსტად მკვლელობის დღეს, ისევ სთხოვა გასაღები, ნაწილს უკან დავდებო. ისიც ადვილი მისახვედრი იყო, რომ მძღოლმა „ხაზეინი“ მოკლა, შემდეგ კი, ისეთი ფონი შექმნა, თითქოს, ის ტელეფონზე საუბრობდა და დაბნეულ მდივანთან ერთად, კაბინეტი დატოვა. აი, მისი გვამის აღმოჩენის შემდეგ, თურმე, ის იყო ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, გვამი დივანზე გადაესვენებინათ ანუ რაც შეიძლება, მეტი კვალი წაშლილიყო. ავტოფარეხიდან მოპარული ფეხსაცმლით მან დატოვა ფანჯრის რაფაზე ანაბეჭდი, დანაც მან მოიპარა და გამოიყენა. მძღოლი დააკავეს და მან მხოლოდ მას შემდეგ მისცა აღიარებითი ჩვენება, რაც გარანტია მიიღო, რომ არ დახვრეტდნენ.

სამართალდამცავები მას სწორედ სასჯელის უმაღლესი ზომით აშინებდნენ.

სასამართლომ მკვლელს, საბოლოო ჯამში, თავისუფლების აღკვეთა 14 წლით მიუსაჯა, თუმცა მძღოლს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 4 წელზე მეტი არ გაუტარებია – მას ტუბერკულოზი დაემართა და ამ დაავადებით გარდაიცვალა.

ბათო ჯაფარიძე

ახალგაზრდა თაობას, ალბათ, სერიალი „მონა იზაურა“ გაგებულიც არ ექნება. არადა, სწორედ ის იყო პირველი მერცხალი ქართულ სინამდვილეში და შემდეგ უცხოურმა სერიალებმა ქართული ტელესივრცე წალეკეს. თუ მანამდე ბრაზილიურ, არგენტინულ ან ვენესუელურ სერიალებს გვთავაზობდნენ, ახლა, ძირითადად, თურქული სერიალებითაა სავსე სატელევიზიო ბადეები და სამწუხაროდ, მათ მაყურებელიც ბევრი ჰყავს. სამწუხაროდ იმიტომ, რომ რეალურად, ყველა სერიალი საპნის ოპერასავითაა, ბანალური სიუჟეტით, ბანალური განვითარებითა და უფრო ბანალური ფინალით. ვიღაცის დეიდა რომ საბოლოო ჯამში, უფრო ვიღაცის მამიდა გამოდგება და მერე ბაბუის გარე ბიძაშვილს მიჰყვება ცოლად, რადგან თურმე, ბავშვობაში ჰყვარებია და მისგან შვილიც გაუჩენია, რომელიც იმ ბაბუის უკვე გარე დეიდაშვილს ჰყვარობს და... ჰო, სისულელეა, ძალიან დიდი სისულელე და ვაღიაროთ ისიც, რომ ხარისხიანი სერიალის გადაღება ათეულობით და ასეულობით მილიონი ჯდება, მაშინ, როცა ქართულ ტელესივრცეში არსებულ სერიალთა უმრავლესობა იაფფასიან დეკორაციებზე, უფრო იაფფასიან ჩაცმულობასა და იაფფასიან ემოციებზეა აგებული.

„მამაჩემის ცოლი შემიყვარდა“

ქართული რეალური ამბავი ბრაზილიური სერიალის მოტივებზე

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ნებისმიერ სერიალს დაამშვენებდა თავისი თითქოს ბანალური დასაწყისით, მაგრამ მოულოდნელი გაგრძელებითა და საოცარი ფინალით. ისეთი ფინალით, რომლის წარმოდგენაც სერიალების სცენარისტებსაც კი გაუჭირდებათ. ყველაფერი კი ისე დაიწყო, რომ სამართალდამცავებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც კი არ უნდოდათ.

„ჩემი შეყვარებული დაიკარგა... ორსულად ვარ, შვილს ველოდები, ის კი უბრალოდ გაქრა. არ ვიცი, რა ვიფიქრო და როგორ ვიფიქრო, მიშველეთ, თქვენს იქეთ არც გზა მაქვს და არც ახლობელი მყავს ამ ქალაქში“, – მილიციის განყოფილებაში 22-23 წლის გოგონა იცრემლებოდა და საკმაოდ მოზრდილი მუცლით სკამზე ჯდომა უჭირდა. გამომძიებელმა გოგონა დივანზე გადასვა, აქ უკეთ მოთავსდებიო, თავად კვლავ სავარძელში მოკალათდა და მოსასმენად მოემზადა.

„მოსაყოლი ბევრი არაფერი მაქვს. ჩემი ლექტორი შემიყვარდა, თუ მე შევუყვარდი... მოკლედ, როგორც იყო და გავთხოვდი. ეს, დაახლოებით, ერთი წლის წინ მოხდა, ის ჩემზე 20 წლით არის უფროსი და მთლიანად სამსახურზეა გადართული. ხანდახან მეგონა, რომ მხოლოდ მომვლელად მომიყვანა, საჭმელი რომ ჰქონოდა და ტანსაცმელი – გარეცხილ-გაუთოვებული. მერე კი ის გავიცანი... ქუჩაში, შემთხვევით... ჩემი ტოლი და თავდავიწყებით შემიყვარდა. მასაც შევუყვარდი, ძალიან შევუყვარდი. შეხვედრები დავიწყეთ და ქმარი ამას ვერც ამჩნევდა, არც მეკითხებოდა, სად ვიყავი, როგორ ვიყავი, ვისთან ვიყავი და რატომ ვიყავი. მერე დავორსულდი და როგორც იქნა, ვუთხარი, ორსულად ვარ-მეთქი. უემოციოდ ამომხედა, ეგონა, რომ მისგან ვიყავი ორსულად და არაფერი უთქვამს. მერე ჩემი შეყვარებული მოვიდა სახლში, კარზე დააკაკუნა და როცა კარი ჩემმა ქმარმა გააღო, პირდაპირ ზღურბლზე უთხრა, შენი ცოლი ორსულად ჩემგან არისო. ქმარმა ერთი ლაზათიანად შემოარტყა, მერე მე მომიბრუნდა და თქვა, სამ დღეში დავბრუნდები და აქ არაფერი დამხვდეს, რაც შენს თავს გამახსენებსო. სამი დღე ვემზადებოდი და ნაქირავებში გადავედი ჩემს შეყვარებულთან ერთად, ის დამპირდა, დედას გაგაცნობო, მამა არ ჰყავს და გაქრა. შინაგანად მგონია, რომ ჩემმა ქმარმა გააქრო, მაგრამ ის არასდროს ყოფილა იმპულსური და ემოციური. მისთვის უფრო მარტივი ოფიციალური, უხმაურო დაშორებაა და არ ვიცი, რა ვიფიქრო“, – განაცხადა გოგონამ.

პირველ რიგში, გამომძიებლები ბიჭის სახლში წავიდნენ. დედამ დაადასტურა, რომ მისი შვილი რამდენიმე დღე მართლა არ ჩანდა, მაგრამ არ ნერვიულობდა, რადგან ბიჭმა გადაკარგვა იცოდა და დედაც მიჩვეული იყო. უმამოდ გავზარდე და ამიტომ, საკმარისზე მეტი თავისუფლება ჰქონდა, ვერაფერი მოვუხერხეო. დედას ეჭვი გაუჩნდა, რომ მისი შვილი რომელიმე ექსპედიციაში აპირებდა წასვლას, რადგან ამის შესახებ საუბრობდა. დედამ იცოდა, რომ მის შვილს შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ გოგო ორსულად გახლდათ. როგორც კი ეს გაიგო, გოგო შინ წაიყვანა, ნაქირავებში არ უნდა იცხოვროო, თუმცა იქვე დაამატა, შეიძლება, ჩემს შვილს ეს ამბავი არ მოეწონოსო და... გამომძიებლებს ეჩვენებოდათ, რომ ქალი რაღაცას მალავდა, რაღაცას ბოლომდე არ ამბობდა, მაგრამ აშკარა გახლდათ, რომ ის შვილზე არ ნერვიულობდა ანუ ზუსტად იცოდა, რომ შვილი ცოცხალი და უსაფრთხოდ იყო.

დაკითხვაზე ლექტორიც დაიუბარეს და ბიჭის შესახებ ჰკითხეს. მან თქვა, რომ ეს ბიჭი მანამდე რამდენჯერმე ნახა, თითქოს უთვალთვალებდა, მერე კათედრაზე მივიდა, ლექტორს რაღაც კითხვები დაუსვა.

„თურმე, ჩემს ცოლთან დადიოდა, მე კი დაინტერესებული სტუდენტი მეგონა. არ ვიცი, რისი მიღწევა სურდა ან ჩემი თვალთვალით, ან იმით, რომ მოვიდა და პირადად გამეცნო. შურისძიების სურვილი არ მაქვს, ჩემი აწ უკვე ყოფილი ცოლი ახალგაზრდაა, ალბათ, სხვა ინტერესები ჰქონდა, ალბათ, არ უნდა მომეყვანა. შევცდი, მაგრამ ახლა წარსულს უკან ვერ დავაბრუნებ“, – განაცხადა ლექტორმა და ეს იმდენად გულწრფელად თქვა, რომ სამართალდამცავები დარწმუნდნენ, ის ბიჭის გაქრობასთან კავშირში არ იყო.

ძალოვნებმა ყველა ექსპედიციის მონაწილეთა მონაცემები გამოითხოვეს, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა დაწყებულიყო. გაგიკვირდებათ და, კომუნისტების დროს, ორ-სამთვიანი ექსპედიციები ხშირად დგებოდა, მიდიოდნენ გეოლოგები რომელიმე მთის ქანებისა თუ ნიადაფის საკვლევად, მიდიოდნენ დათოვლილი მთების შესასწავლად, ყინულის ფენებს სწავლობდნენ... ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის სიაში დაკარგული ბიჭის გვარიც ეწერა, თუმცა ექსპედიცია სამ დღეში გადიოდა, ბიჭი კი არსად ჩანდა და ამიტომ, გადაწყვიტეს, სამი დღის გასვლას დალოდებოდნენ, თუმცა ლოდინი არ მოუხდათ. ბიჭი ჯერ იმ ბინაში მივიდა, სადაც ორსული შეყვარებული დატოვა, მერე კი შინ, რადგან უთხრეს, რომ გოგონა ვიღაც ქალმა წაიყვანა და ბიჭიც მიხვდა, ვინ იყო „ვიღაც“ ქალი.

თითქოს, ყველაფერი აქ უნდა დასრულებულიყო და წერტილის დასმაც შეიძლებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. ბიჭი გამომძიებლებმა დაკითხეს და მან მოითხოვა, რომ დაკითხვას ლექტორი და დედამისი დასწრებოდნენ. ორივე დაბარებულივით მივიდა და როცა ისინი ერთმანეთს განყოფილების კორიდორში შეხვდნენ, ქალს გული წაუვიდა, მამაკაცი კი კედელს აეკრო. სამართალდამცავები დაიბნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ და სწორედ დანახვის გამო ჰქონდათ ელდა, თუ შოკი. ქალი აზრზე მოიყვანეს და ყოველი შემთხვევისთვის, სხვა ოთახში მოათავსეს, ლექტორი – ბიჭთან, მაგრამ ბიჭი ჯიუტობდა, დედაჩემიც უნდა დაესწროს დაკითხვას და არ მაინტერესებს, ინერვიულებს თუ არა, მინდა ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი გავარკვიოო. ქალი შემოიყვანეს და შვილს სთხოვა, ჯერ მე მოვყვები, მერე შენ მოყევიო.

„პედაგოგიური ინსტიტუტი თბილისში დავამთავრე და მაშინვე ერთ-ერთ სოფელში გამანაწილეს. არ მეგონა, თუ მაღალი კლასის დამრიგებლობას დამავალებდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მეათე კლასი ჩავიბარე. მე 24 წლის ვიყავი და იცით, რას ნიშნავს, 24 წლის თბილისელი გოგო და 20-ზე მეტი ჯანმრთელი, სოფლელი ბიჭი, რომლებსაც ჰორმონები უთამაშებთ და გაკვეთილზე თვალებში კი არა, მკერდზე, ფეხებსა და უკანალზე გიყურებენ. მერე ეს ბიჭი შემიყვარდა... ჰო, ეს პატივცემული, ახლა რომ ლექტორია... ვგიჟდებოდი, ისე მიყვარდა და მისგან ფეხმძიმედ დავრჩი. მივხვდი, სოფელს რომ გაეგო, შეიძლებოდა ჩავექოლე, ამიტომ სამინისტროში განცხადებით შევედი, დედაქალაქში დამაბრუნეთ-მეთქი. დავბრუნდი და ბავშვი აქ გავაჩნე. რა უნდა მეთქვა, 16 თუ 17 წლის ბავშვისთვის, ის ხომ უბრალოდ იმით იყო ბედნიერი, რომ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა? ბავშვი მარტომ გავზარდე და მან მხოლოდ ერთი წლის წინ გაიგო, ვისი შვილი იყო. უფრო სწორად, მამის სახელი, გვარი და სოფელი ვუთხარი. არ მეგონა, თუ მოძებნიდა, მაგრამ მოუძებნია“, – დაასრულა ქალმა.

„ჰო, მოვძებნე და რამდენჯერმე მივედი, ვესაუბრე, ვუთვალთვალებდი. მეგონა, სისხლი უყივლებდა, გული ეტყოდა, რომ მის წინ შვილი იდგა და არა რიგითი ადამიანი, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. მერე გადავწყვიტე, შური მეძია და მეძია ისე, როგორც ვფიქრობდი, რომ იმსახურებდა. მის ახალგაზრდა ცოლს თავბრუ დავახვიე, მაგრამ... მივხვდი, რომ შემიყვარდა... ჰო, მამაჩემის ცოლი შემიყვარდა და მის გარეშე არ შემიძლია. თან ბავშვს ველოდები“, – ეს უკვე ბიჭის ნაამბობია.

ლექტორი გაოცებული ისმენდა ყველაფერს, უფრო გაოცებულები გამომძიებლები იყვნენ, მაგრამ რადგან კრიმინალის ნიშნები არავის ქმედებაში არ იყო, ისინი უბრალოდ გაუშვეს. მერე, მოგვიანებით გაიგეს – ლექტორი ცოლს ოფიციალურად დაშორდა და გოგო ცოლად მისმა შვილმა მოიყვანა, თავად ლექტორმა კი ყოვილი მასწავლებელი შეირთო და... რა გითხრათ, ბედნიერად და ტკბილად ცხოვრობდნენ, თუ ცხოვრობენ, ალბათ...

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეშვიდე სხდომის გახსნით ღონისძიებაში მონაწილეობდა.

თემურ მღებრიშვილმა, სიტყვით გამოსვლისას, ხაზი გაუსვა შინაგან საქმეთა სამინისტროს წამყვან როლს ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ასევე, ისაუბრა ქბრბ საფრთხეების გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ.

საკოორდინაციო საბჭოს სიტყვით მიმართა საბჭოს წევრი ყველა რელევანტური სახელმწიფო უწყების მაღალი დონის წარმომადგენელმა. ღონისძიების გახსნით ნაწილში, ასევე მონაწილეობა მიიღო აშშ-ის საელჩოს მისიის ხელმძღვანელმა, ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობისა და დახმარების პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილემ და UNICRI-ის რეგიონალურმა კოორდინატორმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან სხდომას ესწრებოდნენ ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პასუხისმგებელი დანაყოფების, კერძოდ, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

სხდომის ფარგლებში, განხილულ იქნა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები, არსებული გამოწვევები და მიღწეული პროგრესი. აღნიშნულ ნაწილში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენელმა ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების მიმართულებით უწყების შესაძლებლობებსა და სამომავლო გეგმებზე მოხსენება გააკეთა. შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი გაიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო კურსი გაიარეს. სწავლება მოიცავდა, როგორც თეორიული საკითხების განხილვას, ასევე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებას, როგორებიცაა პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები, ასევე, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხები.

სწავლება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ციხისჯვარის ბაზაზე ჩატარდა.

სწავლების დასრულების შემდეგ, მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვის ვალდებულებას ითვალისწინებს, პარლამენტმა დაამტკიცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, 82 ხმით დაამტკიცა.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ცვლილებების თანახმად, 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ზონებში/გზის მონაკვეთებზე გადაადგილებისას, სავალდებულო იქნება სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა.

ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა დადგინდეს ზემოაღნიშნული პერიოდისგან განსხვავებული დროის მონაკვეთი ან დაწესდეს დამატებითი მოთხოვნა, სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებთან ერთად მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით აღჭურვის შესახებ.

სანქციად წესდება ჯარიმა – 100 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 5 ქულით შემცირება.

ზამთრის საბურავების ტექნიკური მახასიათებლები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.

კანონი 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა.

ბათუმში, აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, მართლწესრიგის 20 ოფიცერი მუშაობას უკვე შეუდგა.

მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადად მიულოცა.

ვახტანგ გომელაური მართლწესრიგის ოფიცრებს გაესაუბრა და მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში წარმატება უსურვა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში არაერთი მიმართულება შედის და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრები მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მუდმივ კომუნიკაციაში არიან თავიანთ სამოქმედო არეალში მცხოვრებ მოქალაქეებთან.

მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა საკონკურსო წესით ხდება, რის შემდეგაც კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეკვირიან ინტენსიურ პროფესიულ სწავლებას გადიან.

საქართველოს მასშტაბით მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი უკვე მოქმედებს თბილისში, რუსთავსა და ბათუმში. ოფიცერთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად გაიზრდება და ინსტიტუტი ყველა მსხვილ ქალაქში ამოქმედდება.

ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ბათუმში, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა.

ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დანაყოფის ხელმძღვანელებისგან რეგიონში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიმდინარე წელს გატარებული საპოლიციო და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მიმდინარე წელს აჭარის რეგიონში მომხდარი დანაშაულების გახსნის მაჩვენებელს და აღინიშნა, რომ გარკვეული ტიპის დანაშაულის რაოდენობის კლება დაფიქსირდა, გახსნის მაჩვენებელმა კი მოიმატა. სამუშაო თათბირზე ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის, როგორც სოციალური, ისე სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

მინისტრმა შეხვედრაში მონაწილე სამართალდამცველებს კონკრეტული დავალებები მისცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

კვარაცხელია-ოსიმენის დუეტი დაბრუნდა

იტალიური „ნაპოლის“ გულშემატკივრები ამბობდნენ, ჩვენი გუნდი მატჩებს სტაბილურად მას შემდეგ მოიგებს, რაც ხვიჩა კვარაცხელია და ვიქტორ ოსიმენი ისევ ჩვეულ ფორმაში შევლენ და კვლავ შეუჩერებელნი იქნებიანო. ჰოდა, „კალიარისთან“ შეხვედრაში, ქართულ-ნიგერიულმა დუეტმა გაიბრწყინა და ნეაპოლელთა გამარჯვება სწორედ მათ გამოჭედეს. ჯერ იყო და, კვარას წამოწყებული შეტევა ვიქტორმა დააგვირგვინა გოლით, შემდეგ კი, ნიგერიელმა ქართველს საგოლედ თავად უპასა და კვარაცხელიამ ეფექტური გოლი შეაგდო.

ზოგადად, ხვიჩამ „კალიარისთან“ ძალიან კარგად ითამაშა, გოლის გარდა, მთელი შეცვედრა დამაჯერებლად მოქმედებდა, მას მუდმივად 2-3 მცველი დასდევდა, რაც დანარჩენებს სივრცეებს უთავისუფლებდა და ქართველი შემტევი, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად სამართლიანად დასახელდა. „კალიარისთან“ შეგდებული გოლი ამ სეზონში ხვიჩასთვის სერია A-ში მეხუთეა და ამ მაჩვენებლით, ის დაუკეთესო ბომბარდირთა დავაში მე-15 ადგილზე გახლავთ, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მომდევნო ტურში, გატანის შემთხვევაში, კვარაცხელია მეცხრე ადგილზე გადაინაცვლებს და ათეულში შევა.

„ნაპოლი“ შემდეგ შეხვედრას 23 დეკემბერს, „რომასთან“ სტუმრად გამართავს, 29-ში კი „მონცას“ უმასპინძლებს და ამ მატჩით წლევანდელ წელს დახურავს. თუმცა, იტალიური ფეხბურთი დიდი ხნით არ ისვენებს და უკვე 7 იანვარს, კვარაცხელია ტურინში, საბა საზონოვის „ტორინოს“ ესტუმრება.

მამარდაშვილმა ბარსელონასთან ქულა გადაარჩინა

ესპანეთის ჩემპიონატის მე-17 ტურში, კატალონიური „ბარსელონა“ „ვალენსიას“ ესტუმრა. რაღა თქმა უნდა, მატჩის ფავორიტები კატალონიელები იყვნენ, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ წინა ტურში, ხავი ერნანდესის შეგირდებმა, საკუთარ მოედანზე „ჟირონასთან“ წააგეს. ჩვენთვის კი აღნიშნული შეხვედრა გიორგი მამარდაშვილის გამო იყო საინტერესო. საქართველოს ნაკრების კიპერი მეტოქის მრისხანე თავდასხმას უნდა გამკლავებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსამ“ უკანმოუხედავად შეუტია და უკვე პირველ ნახევარში, მამარდაშვილს რამდენჯერმე მოუხდა თამაშში ჩართვა. რამდენიმე რთული ბურთის მოგერიების შემდეგ, „ბარსამ“ გოლის გატანა მაინც მოახერხა, თუმცა გაშვებულ ბურთში ქართველი კიპერის დადანაშაულება ძნელია – დაცვის ხაზი ჩავარდა.

მასპინძლებმა გათანაბრება მალევე მოახერხეს და „ბარსელონა“ შტურმზე გადავიდა. რომ არა მამარდაშვილის დამაჯერებელი მოქმედება, ანგარიში ასტრონომიული იქნებოდა და ლოგიკურიც არის, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად, სწორედ გიორგი რომ დაასახელეს.

„ყველა ხვდება, რომ მამარდაშვილი „ვალენსიასთვის“ უკვე დიდი ფუფუნებაა. არ შეიძლება გუნდი მარცხდებოდეს და საუკეთესოდ მაინც მეკარეს ასახელებდნენ. ასე იყო რამდენჯერმე და მოპოვებული ქულების აბსოლუტურ უმრავლესობას „ღამურები“ სწორედ მამარდაშვილს უნდა უმადლოდნენ. სასწაული იქნება, თუ სეზონის ბოლოს, ის გუნდს არ გამოიცვლის და უფრო ამბიციურ კლუბში არ გადავა“, – ეს განცხადება ნამატჩევს ცნობილმა ესპანელმა ჟურნალისტმა გააკეთა.

„ბარსელონას“ არაერთი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მამარდაშვილმა შესანიშნავად ითამაშა. ის დიდებული იყო და უბრალოდ, თამაშში დაგვტოვა, რამაც შედეგი გამოიღო და მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ“, – ეს კი, ვალენსიელთა თავკაცის, რუბენ ბარახას სიტყვებია.

თოფურია და ვოლკანოვსკი ერთმანეთს დაატოლეს

17 თებერვალს, UFC-ში ქართველთათვის უმნიშვნელოვანესი დღეა. ისტორიაში პირველად, ქამრისთვის ქართველი მებრძოლი იჩხუბებს. ილია თოფურია ალეკსანდრ ვოლკანოვსკის წინააღმდეგ დადგება და არა მარტო დღის, არამედ, წლის მთავარ მოვლენად, ჯერჯერობით, ეს ბრძოლაა შერაცხული. ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, ქამრის მფლობელი ვოლკანოვსკი მიიჩნევა, რომელმაც ტიტული უკვე ხუთჯერ დაიცვა და ახლა ქართველ მებრძოლსაც ემუქრება.

რა თქმა უნდა, ჩხუბის ორგანიზატორებს ძალიან უნდათ, რომ მატჩი მის დაწყებამდე ისე დაძაბონ, რაც შეიძლება, მეტი მნახველ-სპონსორი ჰყავდეთ და ამისთვის დიდი ძალისხმევა აშკარად არ სჭირდებათ. აგერ, თოფურია და ვოლკანოვსკი ერთმანეთს ლას ვეგასში, MGM Grand Garden Arena-ზე შეახვედრეს და „თბილი გასაუბრების“ შემდეგ, მებრძოლებმა ერთმანეთისკენ საჩხუბრად გაიწიეს, მათ შორის კი, გამშველებელი ჩადგა. მერე იყო, ვოლკანოვსკიმ ქამარი რომ გამოიტანა და თოფურიასს შეახარბა, თუმცა... იმედი ვიქონიოთ, 17 თებერვლის საღამოს, ამ სახეობაში, მსოფლიოში პირველ ქართველ ჩემპიონს ვიხილავთ.

არველაძე თურქულ კლუბს გაწვრთნის

თურქეთის სუპერლიგის კლუბ „ფატიჰ კარაგუმრუკის“ მთავარ მწვრთნელად შოთა არველაძე დაინიშნა. კონტრაქტს ხელი ოფიციალურად მოეწერა და უდიდესი ალბათობით, გუნდის მთავარი მიზანი უძლერესთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნება. 15 ტურის შემდეგ, „ფატიჰ კარაგუმრუკის“ 17 ქულით, მე-11 ადგილზეა და მართალია, ევროზონას მხოლოდ 9 ქულა აშორებს, რაც დარჩენილი მატჩების გათვალისინებით, ბევრი არაა, მაგრამ გასავარდნ ზონასთან 3 ქულაშია და ამიტომ, უფრო მეტ აქცენტს, სწორედ უმაღლესში დარჩენაზე გააკეთებს.

„მიხარია, რომ სამწვრთნელო საქმეს იმ გუნდში დავუბრუნდი, რომელიც ჩემთვის კარგად ნაცნობია და ვიცი, რისი მიღწევა სურს. მინდა, მადლობა ვუთხრა „კარაგუმრუკის“ პრეზიდენტს, სულეიმან ჰურმას ნდობისთვის და რთულ მომენტში ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ კლუბმა უკანასკნელ 3-4 წელიწადში დიდი გზა გაიარა თურქეთის სუპერლიგამდე და დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალებით მას კიდევ უფრო წარმატებულს გავხდით. დუნდთან ერთად, პირველი ვარჯიში უკვე ჩავატარე და ვემზადებით უახლოესი მატჩისთვის. ველოდები გულშემატკივართან შეხვედრას და იმედი მაქვს, მათ გახარებას მოვახერხებთ“, – ეს განცხადება შოთამ სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთის სუპერლიგა არველაძესთვის უცხო არ არის. თავის დროზე, ის „ტრაბზონსპორს“, „ქაისერისპორსა“ და „ქაზიმფაშას“ თავკაცობდა.

ლიპარტელიანის ტრიუმფი და მოგებული 55 ათასი ევრო

კოსოვოს დედაქალაქმა პრიშტინამ, ძიუდოისტთა ახალ საერთაშორისო ტურნირს – ევროპის ღია პირველობას უმასპინძლა. ტურნირის ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდად 300 ათასი ევრო გამოყვეს და იმის გათვალისწინებით, რომ შეჯიბრი მხოლოდ ორ წონაში – კაცებში -73კგ. და ქალებში -57კგ. იმართებოდა, თანხა აშკარად მსუყე იყო. საპრიზო ფონდი პირველ ხუთეულზე უნდა გადანაწილებულიყო, ჩემპიონი კი თავის წილად 55 ათას ევროს მიიღებდა.

პრიშტინაში თავი წონის პირველმა ნომრებმა მოიყარეს და ქართველთაგან კოსოვოში ლაშა შავდათუაშვილი და ეთერ ლიპარტელიანი გაემგზავრნენ. სამწუხაროდ, ლაშამ მეხუთე ადგილზე გასვლა მოახერხა, არადა, აშკარად მეტი შეეძლო. რაც შეეხება ლიპარტელიანს...

ეთომ დამაჯერებლად იასპარეზა და მთავარი ბრძოლა ნახევარფინალში ჰქონდა, სადაც მასპინძელთა ჯილას, მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონს, ნორა ჯიაკოვას შეხვდა. დაპირსპირება ძალიან დაძაბული იყო, მთელი დარბაზი ნორას სახელს სკანდირებდა და ორთაბრძოლის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე, ლიპარტელიანმა მეტოქე შებოჭვაზე დაიჭირა და სუფთა გამარჯვებით ფინალში გავიდა. ოქროსთვის შეხვედრა ეთერმა 32 წამში მოიგო – ებრაელ მეტოქეს ორი ვაზარი აუღო და ოქროს მედალთან ერთად, 55 ათასი ევროც მიიღო.

არაბიძე ტრანსფერზეა?

ქუთაისის „ტორპედოს“ ნახევარმცველი, გიორგი არაბიძე მიმდინარე სეზონში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სიმბოლურში მოხვდა და საუკეთესო ნახევარმცველისთვის განკუთვნილი პრიზიც მიიღო. ჩვენთან სეზონი დასრულდა და ახლა ირკვევა, რომ არაბიძის შეძენით, ერთბაშად 12 კლუბია დაინტერესებული და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ მან კლუბი გამოიცვალოს.

უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ დაინტერესებული 12 კლუბის უმრავლესობა არაბულია. მათ შორისაა „ალ ჰილალიც“, სადაც ბურთს ბრაზილიელი ვარსკვლავი, ნეიმარი აგორებს. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაბიძეს ფინანსურად ყველაფერი რიგზე ექნება, მაგრამ არაბული ლიგიდან, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა გაუჭირდება. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, გიორგი ნაკრებში მოხვედრას რომ იმსახურებს, გულშემატკივრებიც და ჟურნალისტებიც ვთანხმდებით, ერთი ეგაა, ჩვენს აზრს, ნაკრების მწვრთნელი, ვილი სანიოლი არ იზიარებს და ფეხბურთელს ხასიათს უწუნებს.

ბოლქვაძემ ეგვიპტის ტურნირი მოიგო

ეგვიპტის ქალაქ შარმ ელ შეიხში, ქალთა შორის, ITF-ის 25 ათას დოლარიანი ტურნირი გაიმართა, რომელშიც ქართველი, მარიამ ბოლქვაძეც მონაწილეობდა. პირველ წრეში მარიამმა რუსეთის სახელით მოასპარეზე ალექსანდრა შუბლაძეს მოუგო, შემდეგ ეგვიპტელები – სანდრა სამირა და მარია ტკაჩევა დაამარცხა, მათ თურქი ჩაგლა ბიუიკაჩაი მიაყოლა, ფინალში, კიდევ ერთ რუსს, ელენა პრიდანკინას შეხვდა და უშანსოდ, 6:2; 6:1 დაამარცხა.

საგულისხმოა, რომ მარიამმა ყველა მეტოქეს ისე აჯობა, ერთი სეტიც კი არ წაუგია, რაც ძალიან კარგი შედეგია. 25 წლის ბოლქვაძესთვის, ეს ITF-ის ტურნირის მე-19 ტიტულია, ერთეულთა თანრიგში კი პირველობა მეშვიდედ ირგუნა.

პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მთავარი ეკონომიკური გზავნილები

მე-6 გვერდიდან

წელს, დღგ-ს ზედმეტობის სახით, ბიზნესს უკვე დაუბრუნდა 2 მილიარდ 200 მილიონი ლარი. მომდევნო წელს, დაბრუნებული თანხა იქნება 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი. ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა.

„2022 წელს, საქართველოს ექსპორტმა 5.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა და 2012 წელთან შედარებით, ეს 135%-იანი ზრდაა. წელს, იანვარ-ნოემბერში, საქონლის ექსპორტი 11%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 5.6 მილიარდი დოლარი, რაც ისტორიული, რეკორდული მაჩვენებელია და 2012 წელთან შედარებით, ეს არის თითქმის 2.5-ჯერ ზრდა“.

რაც შეეხება დასრულებულ მშენებლობებსა და უძრავი ქონების ფასს, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2013 წლიდან 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში, ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების საერთო ფართობმა 23.5 მილიონი კვ.მ შეადგინა, მათ შორის, დასრულებული საცხოვრებელი შენობების საერთო ფართობი – 15.1 მლნ კვ.მ-ია.

ბოლო 11 წელიწადში, საშუალოდ, წლიურად დასრულდა 2.1 მლნ კვ.მ ფართობის მშენებლობები, რაც 2.5-ჯერ აღემატება 2006-2012 წლებში ექსპლუატაციაში შესული შენობების საერთო ფართობის საშუალო მოცულობას – მაშინ მხოლოდ 0.8 მილიონი კვ.მ იყო.

2013-2022 წლებში, აჭარაში, საშუალოდ, წლიურად 307 ათასი კვ.მ შენობების მშენებლობა დასრულდა, რაც 3.5-ჯერ აღემატება 2006-2012 წლების საშუალო მაჩვენებელს. მაშინ იყო 90 ათასი კვ.მ, დღეს არის 300 000. ამასთან, 2013-2022 წლებში, საშუალოდ, 1.4 მილიონი კვ.მ ფართობის საცხოვრებელი შენობები იქნა მიღებული ექსპლუატაციაში, რაც 4.5-ჯერ აღემატება 2012 წლამდე საშუალო მაჩვენებელს – მაშინ 0.3 მილიონი კვ.მ. იყო.

პრემიერისვე განცხადებით, წელს, 2012 წელთან შედარებით, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი გაორმაგებულია. სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფასები 3.5-ჯერ გაიზარდა. **„2012 წელს, მეგობრებო, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ჰქონდა მხოლოდ დსთ-ს ქვეყნებსა და თურქეთთან. დღეს გვაქვს თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან. ბაზრების მოცულობა 6.5-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში, რა თქმა უნდა, კარგად მოგეხსენებათ, რომ ევროპასთან გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობა და მოქმედებს ეს უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი ბიზნესისთვის. ასევე ჩინეთთან, ბრიტანეთთან გავაფორმეთ თავისუფალი ვაჭრობა. შედეგად, ექსპორტის 87% თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნებში გადის; ესაა მსოფლიოს 2.3-მილიარდიანი სამომხმარებლო ბაზარი.**

ასევე, წელს გავაფორმეთ არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. ესეც დამატებით 10-მილიონიანი ბაზარია. ამასთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კორეასთან, ისრაელთან და საქართველო რეგიონში დღეს არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან და ჩინეთთან იმავდროულად. ეს, რა თქმა უნდა, მე ვიტყოდი, უნიკალური შესაძლებლობაა ჩვენი ბიზნესისთვის, რომ მათ გაიტანონ საკუთარი პროდუქცია საზღვარგარეთ და ჩვენ ბაზრების დივერსიფიკაციას მაქსიმალურად ვახდენთ და ვეხმარებით ჩვენს ბიზნესს.

ასევე, მინდა შევეხო წლევანდელ კიდევ ერთ აღიარებას. საქართველოს პროგრესზე მეტყველებს, ზოგადად, OECD-ის ბოლოდროინდელი კვლევა და გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც შეეხება „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსს“. საქართველო აქ კვლავაც ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. კვლევა აფასებს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორებიცაა პასუხისმგებლობიანი მთავრობა, სამეწარმეო ადამიანისეული კაპიტალი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ბაზარზე წვდომა, ინოვაციები და ა.შ. ჩვენი ქვეყანა ლიდერობს 12-დან 11 მიმართულებაში“.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ორნიშნა ეკონომიკურმა ზრდამ ქვეყანას საშუალება მისცა აენაზღაურებინა პანდემიის დანაკარგი და ეკონომიკა კიდევ უფრო სწრაფად გაზრდილიყო. შედეგად, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონით, მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით, წლიდან წლამდე მცირდება ევროკავშირის საშუალო დონესთან ჩამორჩენა. გაისად, ჩვენი შემოსავლები ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 41% იქნება, ხოლო 2027 წლისთვის, მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 45%-მდე იზრდება.

„თუ თვალს გადავავლებთ ევროკავშირში ბოლოს გაწევრიანებული ქვეყნების მონაცემებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის რიგ ქვეყნებს, მათ შორის, ბულგარეთს, პოლონეთს, უნგრეთს, რუმინეთს გაწევრიანების მომენტში, დაახლოებით, მსგავსი მაჩვენებლები ჰქონდათ. თუ შევხედავთ ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების ბოლო მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, ვნახავთ, რომ საქართველოს არა მარტო მათ საშუალო მაჩვენებელზე უკეთესი პოზიცია აქვს, არამედ, მთელი რიგი მიმართულებით მოწინავე პოზიციაზეა უკვე დღეს. საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით პირველ ადგილზეა ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის; ინფლაციის დაბალი მაჩვენებლით საქართველო მესამე ადგილზეა ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის; მთავრობის ვალის სიმცირის მიხედვით საქართველო მე-10 ადგილზეა ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის და უსწრებს 26 ქვეყანას; ბიუჯეტის დეფიციტის სიმცირის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მე-19 ადგილზეა ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის და უსწრებს 17 ქვეყანას“.

ამის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი იმ პროგრამებსაც შეეხო, რომლებიც ბოლო 11 წლის მანძილზე დაინერგა და ახლაც გრძელდება. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, რომელიც შეიქმნა 2014 წელს. დღემდე, სააგენტომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად 900 მილიონ ლარამდე მიმართა. ამ პროგრამის ამოქმედების დღიდან, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 12 000-მდე პროექტი, შეიქმნა 70 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი და გაიცა 400 მილიონ ლარზე მეტი დაფინანსება.

რაც შეეხება მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამას, ჯამში დაფინანსებულია 12 000-ზე მეტი ბენეფიციარი და 9 000-ზე მეტი – ბიზნესპროექტი. ბენეფიციარების 43% ქალი მეწარმეა. წელს, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 1 140 პროექტი, მათი 50%-იც ქალი მეწარმეა. ჯამურად გაცემული გრანტების მოცულობა შეადგენს 116 მილიონ ლარს.

„2011 წელს, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროების ბიუჯეტი, ერთობლივად, 100 მილიონ ლარს შეადგენდა. წელს, 600 მილიონზე მეტია და 2024 წელს, 688 მილიონი ლარი იქნება. თითქმის, შვიდჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი. ბოლო 11 წლის განმავლობაში, ქვეყანაში აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვება 112%-ით გაიზარდა და შეადგინა 15 მილიარდ ლარზე მეტი. ბოლო ათი წლის განმავლობაში, თითქმის 100%-ით – 4 მილიარდ ლარამდეა გაზრდილი დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება.

ჩვენ მიერ დაწყებული პროგრამის – „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, დაფინანსებულია 22 ათას ჰექტარზე მეტი ბაღების გაშენება და სარწყავი სისტემების მოწყობა. 22 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები გაშენდა ბოლო 11 წელიწადში.

2013 წლიდან დღემდე 46 000-ზე მეტ ბენეფიციარზე გაცემულია 5.9 მილიარდ ლარზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტი; წლევანდელი 10 თვის მონაცემით, პროგრამით 7 700-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. გაცემული 890 მილიონ ლარზე მეტი სესხიდან, სახელმწიფო თანადაფინანსება 200 მილიონ ლარზე მეტია.

ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით ფერმერებს, რომ განავითარონ პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოები. ჯამში, დაფინანსებულია 240 საწარმოსა და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა. საწარმოების სრულად ამოქმედების შედეგად, ყოველწლიურად, 250 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია შეიქმნება; შემნახველი საწარმოების ტევადობა 140 000 ტონას მიაღწევს.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით გაწეულ სამუშაოს, მთავრობის მხრიდან გამოიყო ათეულობით მილიონი. სულ რაღაც ბოლო ოთხ წელიწადში, 75 მილიონი ლარია გაცემული და 5 000-ზე მეტი ერთეული ტექნიკის შეძენაში დაეხმარა მთავრობა ჩვენს ფერმერებს ბოლო სამ-ოთხ წელიწადში“.

რაც შეეხება ექსპორტს, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 11 თვის მდგომარეობით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1.3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 16%-ით აღემატება გასული წლის პერიოდის მაჩვენებელს.

2012 წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებული იყო 465 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, 2012 წელს და მიმდინარე წელს, უკვე ექსპორტირებულია 838 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია ანუ 180%-იანი ზრდა გვაქვს.

„2012 წელთან შედარებით, გაზრდილია ღვინის ექსპორტი 187 მილიონი აშშ დოლარით – 290%-ით, ბოლო 11 წელიწადში.განხორციელდა 140 მილიონი დოლარის ღირებულების სპირტიანი პროდუქციის ექსპორტი, აქაც გვაქვს დაახლოებით 75%-იანი ზრდა. ტენდენცია, რა თქმა უნდა, გრძელდება წელსაც – 11 თვის მონაცემებით, ღვინის ექსპორტმა მიაღწია უკვე 241 მილიონ აშშ დოლარს.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, ევროკავშირში ღვინის ექსპორტი გაიზარდა 130%-ით, ასევე ვითარდება თხილის წარმოება. მე მინდა გითხრათ, რომ მთავრობამ წელს, 21 მილიონი ლარი გამოუყო ფერმერებს და ჩვენ ამ მიმართულებას, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ 2024 წელსაც. ექსპორტის 70% ევროკავშირში ხორციელდება და ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ ჩვენს ფერმერებს, რომ კიდევ უფრო გაზარდონ თხილის წარმოება.

კიდევ ერთი მონაცემი, რაც მინდა გაგიზიაროთ, 2012 წელს, ღვინის საწარმოებისა და მარნების რაოდენობა ჯამში 40 იყო, დღეს 2 500-ს აღწევს ღვინის საწარმოებისა და მარნების რაოდენობა, აი, ამხელა პროგრესი გვაქვს ბოლო 11 წელიწადში.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვანვითარებთ და მაქსიმალურად მეტ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ მეტი მიწა გაწყლოვანდეს, სარწყავი წყლით უზრუნველყოფა იყო ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ჩვენი მთავრობისა“.

პრემიერის განცხადებით, 2012 წელს, 45 000 ჰექტარი მიწა იყო გაწყლოვანებული. ეს ფართობი 163 000 ჰექტრამდე გაიზარდა ბოლო 11 წელიწადში. ამჟამად მიმდინარეობს 98 მილიონი ლარის ღირებულების 48 სამელიორაციო კაპიტალური ობიექტის რეაბილიტაცია.

„რაც შეეხება ტურიზმსა და ავიაციას, წელს ძალიან წარმატებული გამოფენა მოეწყო ბერლინში, სადაც მოგეხსენებათ, რომ მასპინძელი ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი საქართველო. 200 ათასამდე სტუმარს 160-ზე მეტი ქვეყნიდან ჰქონდა საშუალება, რომ გასცნობოდა საქართველოს მიღწევებს ტურიზმის მიმართულებით. მინდა გითხრათ, რომ საქართველომ ძალიან წარმატებულად ჩაატარა ეს გამოფენა.

ასევე, მინდა გითხრათ, რომ ტურიზმის მიმართულებით, ჩვენი პოლიტიკის შედეგად, 2012 წელთან შედარებით (1.4 მილიარდი დოლარი), გასულ წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2.5-ჯერ გაიზარდა. ჩვენ შარშან გვქონდა 3.5 მილიარდი დოლარი პირდაპირი შემოსავალი ტურიზმიდან. წელს უკვე სამ კვარტალში გვაქვს 3.3 მილიარდი დოლარი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია.

ასევე შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ 2012 წელს, საქართველოს საერთაშორისო აეროპორტები ჯამურად მოემსახურა 1.4 მილიონ მგზავრს. წელს, არსებული გათვლებით, 6.6 მილიონ მოგზაურს ვუმასპინძლებთ და 4.4 მილიარდ დოლარის შემოსავალს მივიღებთ.

ასევე, შედარებისთვის, მეგობრებო, 2012 წელს, საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობდა 28 კომპანია, წელს 50 ავიაკომპანიაა შემოსული ქვეყანაში, რომლებიც 67 მიმართულებით ახორციელებენ ფრენებს“.

წლის ყველაზე გავლენიანი ქალი დაასახელეს

ევროკომისიის მეთაური ურსულა ფონ დერ ლაიენი, 2023 წელს, მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ქალად დასახელდა. ყოველწლიურ რეიტინგს გამოცემა „ფორბსი“ ადგენს. გავლენიანი ქალების სიაში მეორე ადგილს ევროპის ცენტრალური ბანკის მეთაური კრისტინ ლაგარდი იკავებს, მესამეზე – აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისია. ყველაზე გავლენიანთა ხუთეულში მოხვდნენ, ასევე, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი და ამერიკელი მომღერალი ტეილორ სვიფტი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი „თაიმმა“ წლის ადამიანად დაასახელა.

ყველაზე ძვირი და იაფი ქალაქები დაასახელეს

ექსპერტებმა სინგაპური მსოფლიოში ყველაზე ძვირ ქალაქად დაასახელეს. ყოველწლიურ რეიტინგს – Worldwide Cost of Living Report-ის ჟურნალი The Economist ადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდებარე ეს ქალაქი-სახელმწიფო ბოლო 11 წლის განმავლობაში, სიის სათავეში უკვე მეცხრედ მოხვდა. ლიდერის პოზიცია სინგაპურმა შვეიცარიულ ციურიხთან გაიყო. მეორე ადგილზე კვლავ ჟენევა და ნიუ-იორკი არიან. შემდეგ მოდიან ჰონგ-კონგი, ლოს-ანჯელესი, პარიზი, კოპენჰაგენი, თელ-ავივი და სან-ფრანცისკო. ყველაზე იაფი ქალაქების რეიტინგში კი ლიდერი ინდური ჩენაია, რომელიც ამ საფეხურზე ბუენოს-აირესთან ერთად აღმოჩნდა. შემდეგ მოდიან ნიგერიის დედაქალაქი ლაგოსი, ინდური აჰმადაბადი, ზამბიის დედაქალაქი ლუსაკა, ტუნისი, ტაშკენტი, პაკისტანური ყარაჩი, ტრიპოლი, თეირანი და დამასკო.

მომავალი წლის ფერი დაასახელეს

ფერის ინსტიტუტმა – Pantone, დამდეგი წლის მთავარი ფერი დაასახელა. ეს ატმისფერია – სპეციალისტები ახასიათებენ მას, როგორც „ნაზ, თანამედროვე, ხავერდოვანსა და მზრუნველს“. Pantone – აღიარებული ავტორიტეტია ფერების საკითხში. ის პროგნოზირებს ტრენდებს და რეკომენდაციებს აძლევს კომპანიებს შეფერილობების გამოყენებაზე. წელს ძირითადი ფერი წითელი – Viva Magenta იყო, 2022 წელს – იასამნისფერის ელფერი – Very Peri.

დაკარგული ბეჭედი მტვერსასრუტში იპოვეს

საფრანგეთის დედაქალაქში, სასტუმრო „რიცში“ დაკარგული ბეჭედი, რომლის ღირებულებაც 750 ათასი ევროა, მტვერსასრუტში აღმოაჩინეს. BBC-ის ინფორმაციით, სამკაული მალაიზიიის მოქალაქე ქალს ეკუთვნის, რომელიც სასტუმროს სტუმარი იყო. ქალი ეჭვობდა, რომ ძვირადღირებული ბეჭედი სასტუმროს თანამშრომლებმა მოპარეს და დასახმარებლად სამართალდამცავებს მიმართა. მისი თქმით, სამკაული მოიხსნა და მაგიდაზე დატოვა, თავად კი „საშოპინგოდ“ წავიდა. უკან დაბრუნებულს ბეჭედი აღარ დახვდა. სასტუმროს დაცვის თანამშრომლებმა დაკარგული ძვირფასეულობა ორი დღის შემდეგ, მტვერსასრუტის ტომარაში აღმოაჩინეს. ბეჭდის მფლობელი უკვე ლონდონში იყო, თუმცა ძვირფასი ნივთის დასაბრუნებლად მალევე უკან, პარიზში დაბრუნდება. კომპენსაციის სახით კი, სასტუმრომ მას იქ სამი დღით უფასოდ დარჩენა შესთავაზა.

ჩემპიონატი ნაგვის შეგროვებაში

იაპონიაში პირველი საერთაშორისო ჩემპიონატი შედგა ნაგვის შეგვროვებაში. ამომავალი მზის ქვეყანაში, მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნიდან ჩავიდნენ მონაწილეები, მათ შორის, ავსტრალიიდან, ბრაზილიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან და სამხრეთ აფრიკიდან. ამ უჩვეულო შეჯიბრის მიზანი ადამიანების სტიმულირებაა, რათა უფრო მეტად იზრუნონ გარემოზე. თუნუქის ქილები, შუშის ნაწარმი, პლასტმასის ბოთლები – ეს საგნები გახლდათ პირველი საერთაშორისო ჩემპიონატის მთავარი ატრიბუტები. მონაწილეების ძირითადი ამოცანა კი, რაც შეიძლება მეტი ნაგვის შეგროვება იყო, საათნახევრის განმავლობაში, ტოკიოს კონკრეტულ რაიონებში. „სპორტსმენებს“ ქულები ერიცხებოდათ ნაგვის რაოდენობის, ზომისა და ტიპის მიხედვით. რაც ნაკლები იყო გარემოში ნარჩენები, მით მეტი იყო ქულები. პირველი ტურნირის საპატიო პირველი ადგილი ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლებმა დაიკავეს. მათ 37 კილოგრამი ნაგვის შეგროვება შეძლეს. შეჯიბრის მასპინძლები კი მეორეზე გავიდნენ. მთლიანობაში, ტურნირის მონაწილეებმა ნახევარ ტონაზე მეტი ნარჩენი მოაგროვეს. შემდეგი ჩემპიონატი ნაგვის შეგროვებაში იაპონიაში 2025 წელს გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში, მსგავსი შეჯიბრები საკმაოდ პოპულარულია და ის აქ 2008 წლიდან იმართება ხოლმე. მხოლოდ წელს, ამ კუნძულოვან ქვეყანაში, 230-ზე მეტი ასეთი ღონისძიება ჩატარდა.

ორ წელში, მილიონი ორჯერ მოიგო

New York Post-ის ინფორმციით, ამერიკელმა მამაკაცმა, ერთსა და იმავე ადგილას ნაყიდი ლატარიის ბილეთებით ორჯერ მოიგო 10-10 მილიონი დოლარი. როგორც გამოცემა წერს, ბრუკლინელმა უეინ მიურეიმ 10 მილიონი პირველად, 2022 წლის აგვისტოში მოიგო. მაშინ მამაკაცმა ლატარიის ბილეთი ბენზინგასამართ სადგურთან არსებულ მაღაზიაში იყიდა და მასში 30 დოლარი გადაიხადა. ერთი წლის შემდეგ, მიურეიმ იმავე სადგურზე იყიდა ბილეთი და კვლავ ანალოგიური თანხის მფლობელი გახდა. სადგურის თანამშრომელი, რომელმაც მამაკაცს ბილეთები მიჰყიდა, აცხადებს, რომ მიურეი ძალიან მოროდებული და კეთილშობილი ადამიანია. ის მოკრძალებულად ცხოვრობს დედასა და ბებიასთან ერთად და მათ უვლის.

88-ედ დაქორწინებას აპირებს

61 წლის ინდონეზიელი ფერმერი კაანი უკვე 87-ჯერ იყო დაქორწინებული. პირველად მან ცოლი 14 წლისამ მოიყვანა. მეუღლე მასზე ორი წლით უფროსი იყო. ეს ქორწინება სულ ორიოდე წელს გაგრძელდა და წყვილი დაშორდა. ბიჭს დიდხანს არ უდარდია და მალე ახალი ცოლი იშოვა და ასეც განაგრძო... თავად მამაკაცი ამტკიცებს, რომ თითოეული მეუღლის ღირსებას იცავდა. მას არ სურდა, რომ ყოველ ახალ ქალთან კავშირი მხოლოდ გართობად ჩაეთვალათ – ეს შეურაცხმყოფელი იქნებოდა. მეტიც, განქორწინებითაც კი ყოველთვის პატიოსნად შორდებოდა – არავისთვის სურდა ფუჭი იმედების მიცემა. თუმცა, ყველა ქალი არ თანხმდებოდა გაყრაზე, ამიტომ ზოგჯერ ახალ კავშირში, ჯერ კიდევ ქორწინებაში მყოფი შედიოდა. ისეც მომხდარა, რომ ზოგიერთ ქალზე ორჯერ დაქორწინებულა. ამჯერადაც, 88-ე ჯერზე, კაანი აპირებს მეუღლედ ის ქალი მოიყვანოს, რომელიც მისი 86-ე ცოლი იყო...

პლასტირი-კონტრაცეპტივი შექმნეს

ამერიკელმა სპეციალისტებმა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება პლასტირის სახით შექმნეს. მისი გამოყენება სუსტი სქესის წარმომადგენელს დამოუკიდებლად შეეძლება, პროფილური სპეციალისტის დახმარების გარეშე. სწავლულები აღნიშნავენ, რომ პლასტირის გამოყენების ვადა ერთი თვეა. მის ზედაპირზე განთავსებულია მიკროამპულები, რომლებიც განსაკუთრებული სინთეტიკური ნივთიერებითაა სავსე. პლასტირზე ზეწოლის შემდეგ, მიკროამპულები ორგანიზმში აღწევენ და ერთი თვის განმავლობაში შეჰყავთ პრეპარატი. ჯერჯერობით, სიახლე მხოლოდ თაგვებზე გამოსცადეს, თუმცა მისი ავტორები იმედოვნებენ, რომ კლინიკური ცდებიც მალე ჩატარდება.

ესპანეთის დედოფალი სკანდალში გაეხვია

ესპანეთის დედოფალი ლეტიცია გრანდიოზულ სექს-სკანდალში გაეხვია. მას მეფე ფელიპე VI-ის ღალატში ადანაშაულებენ, რომელთანაც ის უკვე 19 წელია, ქორწინებაშია. სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც 53 წლის ბიზნესმენმა ჰაიმე დელ ბურგომ განაცხადა, რომ ის და ლეტიცია საყვარლები იყვნენ მის გათხოვებამდეც და შემდეგაც. საინტერესოა, რომ დელ ბურგო მოგვიანებით, 2012 წელს, ლეტიციას დაზე, ტელმა ორტისზე დაქორწინდა. ბიზნესმენი სოციალურ ქსელში გავრცელებულ პოსტებში ამტკიცებდა, რომ წყვილი ერთმანეთს მანამდე ხვდებოდა, ვიდრე 2004 წელს, ლეტიცია პრინც ფელიპეს გაიცნობდა, თუმცა ურთიერთობა 2010 წელს, ქორწინების შემდგაც გააგრძელეს და მთელი 18 თვის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით, დელ ბურგომ ეს პოსტები წაშალა, თუმცა მათ შინაარსს არ უარყოფს. „ამით არ ვამაყობ, მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად იყო“, – განაცხადა ბიზნესმენმა. ესპანეთის დედოფლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ბრალდებებზე ისინი კომენტარს არ გააკეთებენ.

პროდუქტები, რომლებიც ფსიქიკას აზიანებენ

ესპანეთის ლას-პალმასის უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ზოგიერთი პროდუქტი ცუდად აისახება ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ძირითად გამღიზიანებლებლად მეცნიერებმა „ფასტ-ფუდი“, ფქვილის ნაწარმი, ორცხობილა და ნამცხვრები დაასახელეს, რომლებიც სახლში კი არა, საკონდიტროებსა და ფაბრიკებში ცხვება. მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 9 ათასი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი სხვადსხვა სახის პროდუქტებს მიირთმევდნენ. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ვინც შეგნებულად ირჩევდა საკვებად „ფასტ-ფუდსა“ და ნაცხვრებს, უფრო აგრესიული ხდებოდა და გაღიზიანებასაც ხშირად გამოხატავდა. სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ ვის რაციონშიც ბოსტნეული და მწვანილი სჭარბობდა, უფრო თავშეკავებულები და მშვიდები იყვნენ. ესპანელი მკვლევარების ვერსიით, თუ ადამიანი რეგულარულად იკვებება გამღიზიანებელი-პროდუქტებით, მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა უკვე ერთი თვის შემდეგ უარესდება. ამგვარი მოვლენის მიზეზი ტრანს-ცხიმების მოქმედებაა, რომელსაც ორგანიზმი ცუდად ითვისებს და შინაგან ორგანოებში ილექება. თანაც ასეთი საკვები სისხლში ქოლესტერინის დონეს ზრდის და ჭარბ წონასაც იწვევს.

როგორ ვიმახსოვრებთ სიზმრებს?

ამერიკელმა სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, როგორ იმახსოვრებს ადამიანი სიზმრებს. მეცნიერებმა კომპიუტერული მოდელი შექმნეს, რომლის მეშვეობითაც მათ ძილის დროს ტვინის აქტივობასა და ნეირონებს შორის სინაპტიკური კავშირის ურთიერთობა დაადგინეს. მოდელმა აჩვენა, რომ ძილის დროს ტვინის ქერქში ელექტრული აქტივობის ნელი რყევები ხდება, ხოლო ჰიპოკამპში – სწრაფი რყევები. ჰიპოკამპი ტვინის ნაწილია, რომელიც ადამიანის სწავლასა და მის მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. სწორედ ტვინის ქერქსა და ჰიპოკამპს შორის ურთიერთობის შედეგად, მოკლევადიანი დამახსოვრებული ინფორმაცია გრძელვადიანად გადაიქცევა, ხოლო უკურეაქციის შედეგად, თავის ტვინის ქერქის ნეორონები ხელახლა აღიგზნება და დამახსოვრებული ინფორმაცია მეხსიერებაში მყარდება.

პაციენტი ლუდით გადაარჩინეს

ვიეტნამელმა ექიმებმა მამაკაცის სიცოცხლე იხსნეს, რომელიც კლინიკაში ალკოჰოლური მოწამვლით შეიყვანეს. ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მის სისხლში მეთანოლის დონე ნორმას 1119-ჯერ აჭარბებდა. ჩანს, მან დიდი რაოდენობით უხარისხო სასმელი დალია. მამაკაცს 0.3-ლიტრიანი სამი ქილა ლუდი დაალევინეს, მასში ეთანოლის – მეთანოლის ანტიდოტის შემცველობის გამო. ამის წყალობით, მამაკაცი გონს მოვიდა. შემდგომი 12 საათის განმავლობაში, პაციენტს საათში ერთხელ, ერთ ქილა ლუდს ასმევდნენ, პარალელურად კი სისხლს უწმენდნენ საშიში ტოქსინებისგან. ამგვარი მკურნალობის შემდეგ, ავადმყოფი სრულიად გამოჯანმრთელდა და სამ კვირაში კლინიკიდანაც გაეწერა.

ტროტუარები სწრაფად მოსიარულეებისთვის

წინასაშობაოდ, ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულში, გამოყოფილი ტროტუარი გახსნეს იმ ფეხით მოსიარულეებისთვის, რომლებსაც ძალიან ეჩქარებათ. საფეხმავლო ზოლი ქალაქის ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრთან გაჩნდა, სადაც უამრავი მაღაზია და სავაჭრო დახლია. ლივერპულის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ასეთი ზომების მიღება აუცილებელია, რადგან ბრიტანეთის მოსახლეობას შორის ჩატარებული გამოკითხვებით, 47%-ს, „შოპინგისას“ ნელა მოსიარულე მყიდველი ყველაზე გამაღიზიანებელ ფაქტორად მიაჩნია. უფრო ადრე, მსგავსი იდეა სწრაფი მყიდველებისთვის ლონდონის ყველზე ხმაურიანი ქუჩის – ოქსფორდ სტრიტის მაღაზიების მფლობლებმა მიაწოდეს დედაქლაქის ხელისუფლებას. იდეა განიხილეს, თუმცა მის რეალიზაციამდე საქმე არ მისულა. სწრაფად და ნელა მოსიარულე ადამიანების ნაკადის გაყოფის იდეა წლების წინ აშშ-ში უკვე გამოსცადეს – ექსპერიმენტის ფარგლებში, ვაშინგტონში, გამოყოფილი ტროტუარი გაჩნდა, ოღონდ სიარულისას, მობილურზე მოლაპარაკე ადამიანებისთვის.

ხვრინვა მხედველობასაც ვნებს

ტაივანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ხვრინვა ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის მხედველობაზე. სპეციალისტების დასკვნები 1000 პაციენტსა და 6 ათას ჯანმრთელ მოხალისეზე ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ვინც ძილში ხვრინავს, 1.67-ჯერ მეტად ხშირად ხვდება თვალის ისეთი დაავადება, როგორიცაა გლაუკომა (მას თვალის მაღალი წნევა იწვევს). ხვრინვას შეუძლია ინსულტისა და გულის დაავადებების პროვოცირებაც. დეტროიტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ვიბრაცია, რაც ხვრინვის დროს წარმოიქმნება, ტრავმას აყენებს სისხლძარღვებს, მათ ანთებასა და გათხელებას იწვევს. ეს კი, როგორც ცნობილია, ათეროსკლეროზის განვითარების პირველი სტადიაა. სწავლულები აცხადებენ, რომ ხვრინვა ისეთივე საშიშია ადამიანისთვის, როგორც მაღალი არტერიული წნევა.

ტაძარში სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

ნორვეგიელმა სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს იმის გასაგებად, როგორ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე ტაძარში სიარული. შედეგად აღმოჩნდა, რომ ეკლესიაში მისვლა ნამდვილად სასარგებლოა, განსაკუთრებით ჰიპერტონიკებისთვის. კვლევაში 120 ათას ადამიანზე მეტი მონაწილეობდა. მათგან ზოგი დადიოდა საღვთო მსახურებებზე, ზოგი – საერთოდ არა. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებიც ტაძარში დადიოდნენ, სისხლის წნევა ნორმასთან ახლოს ჰქონდათ. თანაც, იმ ჰიპერტონიკი ადამიანების ფიზიკური მდგომარეობა მალევე უმჯობესდებოდა, რომლებიც ეკლესიაში დადიოდნენ. ზოგადად, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ რელიგიური ადამიანები უფრო ჯანმრთელები არიან, ვიდრე ათეისტები. ადრე ანალოგიური დასკვნები გააკეთეს ამერიკელმა სწავლულებმა. ჯერჯერობით, მეცნიერები ვერ ასახელებენ პოტენციურ ფაქტორებს, რაც ტაძარში სიარულსა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას შორის კავშირს ახსნდა.

საკუთარ გასვენებაში გაცოცხლდა

45 წლის ჩინელი მამაკაცი, რომელიც თამბაქოს აქტიური მომხმარებელი იყო – დღეში ორ კოლოფს ეწეოდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. ეს ფაქტი თავად მედიკოსებმა დაადასტურეს. ამიტომ მისმა ახლობლებმა და მეგობრებმა ნამდვილი შოკი განიცადეს, როცა მამაკაცი საკუთარ გასვენებაში, მოულოდნელად „გაცოცხლდა“ და ტირილი დაიწყო. როგორც გაირკვა, მამაკაცი მეგობრების გარემოცვაში იმყოფებოდა. მას უცებ სიგარეტი დაუვარდა, მაგრამ როცა მის ასაღებად დაიხარა, გონება დაკარგა და ასფალტზე დაეცა. მეგობრებს ეს ყველაფერი ჯერ ხუმრობა ეგონათ, მერე მიხვდნენ, რომ საქმე სერიოზულად იყო და სასწრაფოს გამოუძახეს. ავადმყოფი კლინიკაში სამი თვის განმავლობაში იწვა, მისი გადარჩენის მხოლოდ მცირე შანსი არსებობდა. მერე კი მეუღლეს მისი გარდაცვალება აცნობეს. როგორც გაირკვა, ექიმები შეცდნენ – მამაკაცი სწორედ საკუთარ გასვენებაში მოვიდა გონს და სიტუაციაში რომ გაერკვა, მწარედ ატირდა. ის რეანიმაციაში დააბრუნეს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა, რომ ის ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

სელფიზე გადასახადი დააწესეს

მექსიკაში მდებარე ტულუმის პარკში, დამთვალიერებლებისთვის სელფის გადასახადი შემოიღეს. ამის თაობაზე ერთ-ერთმა გიდმა განაცხადა. მისი თქმით, ახალი წესები ვრცელდება მობილური ტელეფონების, პლანშეტების, GoPro-ს კამერებისა და ფოტოაპარატების გამოყენებაზე. მექსიკის ეროვნული პარკი ტულუმი ცნობილ კურორტ კანკუნთან ახლოს მდებარეობს. ის მაიას ტომის ერთ-ერთი, საუკეთესოდ შემონახული სანაპირო ქალაქია. ყოველწლიურად მას 2მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს. ცხელ სეზონზე, ყოველდღიურად, იქ 2 ათასი მნახველი მიდის.

გულგატეხილებს სასტუმროში ეპატიჟებიან

შოტლანდიაში მდებარე სასტუმრო Ardoch House-ის მცხოვრებთათვის ხელმძღვანელობას უჩვეულო შეთავაზება აქვს – ეს 5-დღიანი დასვენებაა, რომლის დროსაც, კლიენტს „საკუთარ შინაგან სამყაროში მოგზაურობას“ სთავაზობენ ახალი აღმოჩენებითა და მოგონებებით. ამგვარი „მოგზაურობის“ მიზანი დანაკარგთან შეგუების მართვაა. ეს შეთავაზება, უპირველესად, იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებმაც საყვარელი ადამიანი დაკარგეს, ან რამე, სხვა მიზეზით დარდობენ, როგორიც, მაგალითად, ურთიერთობების გაწყვეტა ან განუხორციელებელი გეგმებია. იდეის ავტორების თქმით, სტუმრებთან მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი, კვალიფიციური კონსულტანტები იმუშავებენ. გულგატეხილებს სასტუმრო დასვენებას თვალწარმტაც გარემოში – ლოხ ლომონდის ნაციონალურ პარკში ჰპირდება. ამგვარი თერაპიის გავლა ერთდროულად 20 მსურველს შეეძლება. ხუთდღიანი „მოგზაურობის“ ღირებულება 3 725 ევრო იქნება.

უსამართლობასა და შიშზე ჯირკვალი რეაგირებს

ადამიანის ტავის ტვინში არის განსაკუთრებული მონაკვეთი, რომელიც „პასუხისმგებელია“ სამართლიანობაზე, – აცხადებენ იაპონელი ნეიროფიზიოლოგები, ტამაგავას უნივერსიტეტიდან. ეს ნუშისებრი ჯირკვალი თავის ტვინის ქერქის ქვეშ მდებარეობს და წინასწარი განჭვრეტით მართავს მონაკვეთებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შიშისმაგვარ პრიმიტიულ ემოციებზე. ის იმ შემთხვევაში აქტიურდება, როცა გამოსაკვლევი ობიექტი ხდება, მაგალითად, ფულის არასამართლიანად განაწილების მოწმე. აქამდე სპეციალისტები უსამართლობის ცნებას რთულ გრძნობას მიაკუთვნებდნენ. მიიჩნეოდა, რომ ტვინის შესაბამისი აქტივობა მისი იმ ფრონტალური ნაწილით კონტროლდებოდა, რომელიც მსჯელობაზეა პასუხსმგებელი. ექსპერიმენტების დროს, სწავლულებმა გაარკვიეს, რომ უსამართლო განაწილებისას, „სოციალურად ორიენტირებულების“ ანუ ფულის არასწორი განაწილების ჯგუფის წევრების ტვინში მკვეთრად იზრდებოდა განსაზღვრული ნუშისებრი ჯირკვლის აქტივობა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.